წინასაარჩევნო მონიტორინგი



ანტიდასავლური მზავნილები
ყალბი ინფორმაცია
სიძულვილის ენა

MDF unag USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

2020

წინასაარჩევნო მონიტორინგი 2020

ანტიდასავლური გზავნილები
სიძულვილის ენა
ყალბი ინფორმაცია

ავტორი:
თამარ კინწურაშვილი

მონაცემთა დამუშავება:
თინა გოგოლაძე, მარიამ ცუცქირიძე

მედია მონიტორინგი:
თამარ გაგნიაშვილი, სოფო გოგაძე, ხატია ლომიძე, სოფო ჩხაიძე

რეგიონული მედია მონიტორინგი:
მარიამ დანგაძე, ანი ქისტაური, მარიამ თოფჩიშვილი

ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

შესავალი

წინამდებარე კვლევა წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან გაკეთებული ანტიდასავლური და სიძულვილის ენის შემცველი გზავნილების, ასევე ყალბი ინფორმაციისა და კამპანიების მონიტორინგის შედეგებს ასახავს.

დაკვირვება როგორც ტრადიციულ, ასევე სოციალურ მედიაზე ხორციელდებოდა, მათ შორის რეგიონულ მედიებსა და პოლიტიკურ სუბიექტებთან დაკავშირებულ სოციალურ ანგარიშებზე.

ანგარიშის I ნაწილი ანტიდასავლურ გზავნილებს ეთმობა, II - სიძულვილის ენას, III - წინასაარჩევნო დისკრედიტაციის კამპანიებს, IV - პოლიტიკური სუბიექტების მიერ გავრცელებულ ყალბ ინფორმაციას, V - დეზინფორმაციას სოციალურ მედიაში პოლიტიკური და სხვა სუბიექტების წინააღმდეგ.

ანტიდასავლური და სიძულვილის ენის შემცველი ნარატივები 1 აგვისტოდან 25 ოქტომბრის ჩათვლით მონიტორინგის შედეგებს ასახავს; ხოლო ყალბი ინფორმაციის 1 აგვისტოდან 10 ნოემბრის ჩათვლით გამოვლენილ შემთხვევებს.

მეთოდოლოგია

ანგარიშში გამოყენებულია კვლევის შერეული მეთოდოლოგია:

- **კონტენტ-ანალიზი.** ნარატივების და მათი წყაროების იდენტიფიცირება, რაც კონტექსტის გაგების და ტენდენციებზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა, ქართულენოვანი ტრადიციული მედიის (ტვ, ბეჭდვითი და ონლაინ გამოცემები) კონტენტ-ანალიზის მეშვეობით ხორციელდება, რა დროსაც რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების დამუშავება ხდება. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს ანტიდასავლური და სიძულვილის ენის შემცველი კომენტარების რაოდენობას თემატიკის და პოლიტიკური სუბიექტების მიხედვით, ხოლო თვისებრივ ნაწილში მოცემულია გზავნილების ტიპოლოგია.
- **ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირება და ვერიფიკაცია.** ფეისბუკის CrowdTangle-ის ანალიტიკური ხელსაწყოს მეშვეობით ხდება ფეისბუკ გვერდებსა და ჯგუფებში გავრცელებული ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირება, მათი გადამოწმება და წყაროების შესწავლა. დამატებით ხდება მკითხველის მიერ მოწოდებული ყალბი ინფორმაციის გადამოწმება, რაც სისტემატიური მონიტორინგის ნაცვლად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვლენილ მაგალითებს და მათ წყაროებს მოიცავს.

მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა როგორც ნაციონალური დაფარვის, ასევე რეგიონული მედია საშუალებები. ტრადიციული მედიის გარდა დაკვირვება ფეისბუკის ანალიტიკური ხელსაწყოს CrowdTangle-ის მეშვეობით ფეისბუკ ანგარიშებზეც ხორცილდებოდა, ასევე პარტიული აქტივისტების ინდივიდუალურ პროფილებზე. აღსანიშნავია, რომ სოციალური მედიის სუბიექტების ბაზა მუდმივად განახლებადია.

ნაციონალური დაფარვის 16 მედია: 4 ტელევიზიის პრაიმ თაიმის ყოველდღიური საინფორმაციო და კვირის ანალიტიკური გამოშვება: საზოგადოებრივი მაუწყებელი (მოამბე, ახალი კვირა), რუსთავი 2 (კურიერი, P.S.) , იმედი, (ქრონიკა, იმედის კვირა). ობიექტივის საინფორმაციო გამოშვება (ახალი ამბები). 5 ტელევიზიის თოქ-შოუ: საზოგადოებრივი მაუწყებელი (კვირის ინტერვიუ), რუსთავი 2 (არჩევანი) შემდგომში მთავარი (არჩევანი), იმედი (პირისპირ), ობიექტივი (ღამის სტუდია; დღის ბოლოს), კავკასია (ბარიერი, სპექტრი), 7 ონლაინ გამოცემა: საქინფორმი, ნეტგაზეთი, ინტერპრესნიუსი, საქართველო და მსოფლიო, PIA, მარშალპრესი, News - Front. 4 გაზეთი: რეზონანსი, კვირის პალიტრა, ასავალ-დასავალი, ალია.

რეგიონული მედია 5 რეგიონის (აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი) მედია საშუალებები მოიცავს: 7 რეგიონული ტელევიზიის პრაიმ თაიმის საინფორმაციო გამოშვება: რიონი ტვ (დღის ამბები), მეგა ტვ (მთავარი), თრიალეთი (საინფორმაციო გამოშვება) ოდიში (საინფორმაციო გამოშვება), ფარვანა tv (საინფორმაციო გამოშვება), მარნეული TV/რადიო (საინფორმაციო გამოშვება), მეცხრე არხი (საინფორმაციო გამოშვება ექო). 6 რეგიონული ტელევიზიის თოქ შოუ, ანალიტიკური გადაცემა: რიონი ტვ - (პოლიტიკური რუკა),TV12 (გუშინ, დღეს, ხვალ), TV12 (ექსპერტის აზრით), TV12 (მედიატორი) თრიალეთი (რეგიონის საათი), თრიალეთი (დღის თემა), თრიალეთი (ნიუს რუმი), ოდიში (რეალობა), TV4 (არჩევნები 2020), მარნეული TV (არჩევნები 2020). 8 ონლაინ გამოცემა: 24News.ge, InterPress.ge, ქუთაისიპოსტი, შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი, ლაივპრესი, Info rustavi, ჯეინიუსი, Akhalkalaki News.

შინაარსი

მთავარი მიგნებები 6
I. ანტიდასავლური გზავნილები 8
1.1. საერთო რაოდენობრივი მონაცემები 8
1.2. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა 10
II. სიძულვილის ენა.....17
2.1. საერთო რაოდენობრივი მონაცემები 17
2.2. ქსენოფობია 18
2.3. ჰომოფობია 20
III. წინასაარჩევნო დისკრედიტაციის კამპანიები.....23
IV. პოლიტიკოსების მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია.....30
V. დეზინფორმაცია სოციალურ მედიაში პოლიტიკური და სხვა სუბიექტების წინააღმდეგ 34
5.1. სამიზნე აშშ-ს ელჩი საქართველოში 35
5.2. სამიზნე ოპოზიცია 37
5.3. სამიზნე ქართული ოცნება 43
5.4. ქართული ოცნების მხარდასაჭერი 46

მთავარი მიგნებები

მონიტორინგის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- **ანტიდასავლური გზავნილები**: პოლიტიკურმა სუბიექტებმა 157 ანტიდასავლური კომენტარი გააკეთეს, საიდანაც ყველაზე დიდი წილი დასავლეთის, როგორც ღირებულებითი სივრცის, ასევე გეოგრაფიული და ინსტიტუციური ერთობის წინააღმდეგ იყო მიმართული. შემდეგ ადგილზეა ნატო, აშშ , არასამთავრობო ორგანიზაციები და სოროსი, ხოლო ბოლო ადგილზე - ევროკავშირი.
- ნატოს წინააღმდეგ ყველაზე მეტი კომენტარი "პატრიოტთა ალიანსის" წევრებმა გააკეთეს, რა დროსაც ნეიტრალიტეტის და რუსეთთან პირდაპირი დიალოგის გზით პრობლემების მოგვარების საკითხი დომინირებდა.
- ანტიდასავლურ გზავნილებში ყველაზე დიდი წილი თავსმოხვეულ ლიბერალურ კანონმდებლობას შეეხებოდა: ანტიდისკრიმინაციული, ოჯახური ძალადობის და ბავშვთა საკითხების შესახებ კანონმდებლობის გადახედვასთან ერთად, "ქართული მარში" პირადობის მოწმობაში ეთნიკურობის გრაფის აღდგენისა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კანონმდებლობის მიღების ინიციატივით გამოდიოდა.
- **სიძულვილის ენა:** საარჩევნო სუბიექტების სიძულვილის ენის შემცველი 140 კომენტარიდან ყველაზე დიდი წილი ქსენოფობიაზე მოდის, რასაც ჰომოფობიური შეფასებები თითქმის ნახევარჯერ ჩამორჩება.
- პოლიტიკური ოპონირების ფარგლებში, ანტილიბერალური პარტიები მათ კონკურენტ ძალებს ხშირად "გეი-რევოლუციონერებად", "ლგბტ კოალიციად", "ლიბერასტ ურჯულოებად" მოიხსენიებდნენ და აქცენტს აკეთებდნენ იმაზე, რომ ქართველ ხალხს არჩევანი გეი-რევოლუციონერებსა და ეროვნულ ძალებს შორის უნდა გაეკეთებინა.
- **პოლიტიკოსების მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია:** საანგარიშო პერიოდში "მითების დეტექტორმა" პოლიტიკოსების მიერ გავრცელებული 22 დეზინფორმაციული და მანიპულაციური შინაარსი გადაამოწმა. პატრიოტთა ალიანსი ყველაზე ხშირად ისტორიით მანიპულირებდა და ამ თემას თურქოფობიური განწყობების გასაღვივებლად იყენებდა. "ქართული მარში" იდენტობის დაკარგვის საფრთხეების გარდა, ბალტიის ქვეყნებთან მიმართებით კრემლის დეზინფორმციულ გზავნილებს იმეორებდა. ქართული მარშის წევრებმა ესტონეთის მოქმედი და ლიეტუვას ყოფილი პრეზიდენტების, ასევე აშშ-ში საქართველოს ელჩის წინააღმდეგ 3 დეზინფორმაცია გაავრცელეს, რაც მიზანმიმართული დისკრედიტაციის ხასიათს ატარებდა.
- **კონსპირაციები კორონავირუსზე:** კორონავირუსთან და ვაქცინაციასთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების (პატრიოტთა ალიანსი, ქართული იდეა, ზვიად ტომარაძე) მიერ გავრცელებული კონსპირაციები ვირუსის არარსებობას და ვაქცინაციის საფრთხეებს შეეხებოდა.
- **წყაროები:** ყველაზე მეტი ანტიდასავლური კომენტარი, ასევე სიძულვილის ენის შემცველი განცხადება კრემლისტურმა პარტიამ "პატრიოტთა ალიანსმა" გააკეთა; რომელსაც მოსდევს ულტრანაციონალისტური "ქართული მარში". პატრიოტთა ალიანსი და სხვა ულტრანციონალისტური სუბიექტები დეზინფორმაციულ გზავნილებსაც ყველაზე ხშირად ავრცელებდნენ.
- მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სუბიექტების უმეტესობა ფიგურირებს სხვადასხვა დოკუმენტებში, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში კრემლის ჩარევასთან დაკავშირებით გავრცელდა: კერძოდ, ცენტრ "დოსიეს" ჟურნალისტური გამოძიება შეეხება კრემლთან დაკავშირებულ "პატრიოტთა ალიანსს", ხოლო ესტონეთის საგარეო დაზვერვის 2019 წლის ანგარიში - "ქართულ მარშსა" და პრიმაკოვის სახელობის რუსულ-ქართული ცენტრს.
- **წინასაარჩევნო დისკრედიტაციის კამპანიები:** ყველაზე გავლენიანი დისკრედიტაციის კამპანია, რაც ხელისფულებამ წინასაარჩევნოდ ოპოზიციის წინააღმდეგ წამოიწყო, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის თემას ეხებოდა, რომელიც

საქართველო-აზერბაიჯანის სადავო სასაზღვრო მონაკვეთზე მდებარეობს. აღნიშნული კამპანია აყალიბებდა ნარატივს, რომ ოპონენტები ეკლესიებს და სამშობლოს ჰყიდიან, ხოლო ხელისუფლება, ამ საფრთხეების განეიტრალებს ახდენს.

- კამპანიას სამართლებრივი პროცესიც ახლდა თან, რისი საფუძველიც რუსულ სპეცსამსახურებთან დაახლოებული ბიზნესმენის მიერ საქართველოს ხელისუფლებისთვის ტოპოგრაფიული რუკების მიწოდება გახდა.
- **დეზინფორმაცია სოციალურ მედიაში პოლიტიკური და სხვა სუბიექტების წინააღმდეგ**: პოლიტიკოსების მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის გარდა, სოციალურ მედიაში გამოვლენილი 31 ყალბი შინაარსიდან, ყველაზე მეტი (16) ოპოზიციის წინააღმდეგ იყო მიმართული, 8 შემთხვევა - "ქართული ოცნების" წინააღმდეგ, 4 მანიპულაციური მასალა კი მმართველი პარტიის მხარდასაჭერად. 2 დეზინფორმაცია მიზანმიმართულად ამერიკის ელჩის წინააღმდეგ გავრცელდა, 1 კი - ტრამპის ქართველი მხარდამჭერი გვერდის მიერ ჯო ბაიდენის წინააღმდეგ.
- დარღვევის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო ციტატების გაყალბება (9) და ყალბი ინფორმაცია (9), ასევე გაყალბებული პოსტების/დოკუმენტების და ფოტო-ვიდეომანიპულაციის (8) გავრცელება. ამასთანავე მმართველი პარტიიის სასარგებლოდ ქლიქბაიტ საიტებით ცრუ მოლოდინების შექმნის 3 და ოპოზიციის წინააღმდეგ ყალბი მხარდამჭერი გვერდის შექმნის 2 შემთხვევა გამოვლინდა.
- გამოვლინდა 56 ფეისბუკ ანგარიში, რომელიც ოპოზიციის წინააღმდეგ ყალბ ცნობებს ავრცელებდა და მეტწილად მმართველ პარტიასთან იყო აფილირებული; ასევე 30 ანგარიში, რომელიც ყალბ ცნობებს მმართველი პარტიის წინააღმდეგ აქვეყნებდა და ნაციონალურ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული;
- პრორუსულ პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებული (9), ასევე ულტრანაციონალისტური/ანტილიბერალური (4) სოციალური მედიის ანგარიშები შედარებით მცირე იყო, თუმცა ამ ჯგუფების წარმომადგენლები პოლიტიკოსების მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაციის ნაწილში დომინირებენ (22).
- დეზინფორმაციის დიდი წილი შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებას ასახავდა, 2 შემთხვევაში დეზინფორმაცია როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების წინააღმდეგ კრემლის პროპაგანდის დღის წესრიგთან იყო თანხვედრაში. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში კრემლის პროპაგანდის მსგავსად შიდაპოლიტიკურ დისკურსში სახელისუფლებო ანგარიშები რელიგიური და სექსუალური იდენტობის დაკარგვის საფრთხეებით მანიპულირებას მიმართავდნენ.
- აღსანიშნავია, რომ "მითების დეტექტორის" მიერ ფეისბუკზე ყალბი ცნობების დეზინფორმაციად მონიშვნის შემდეგ, რაც ფეისბუკთან Third party Fact-Checking program-ის ფარგლებში გახდა შესაძლებელი, ყალბი ინფორმაციის შესახებ 17 მასალას რეაგირება მოჰყვა და ფეისბუკ ანგარიშებმა მცდარად შეფასებულ შინაარსი თავადვე წაშალეს.

I. ანტიდასავლური გზავნილები

1.1. საერთო რაოდენობრივი მონაცემები

მონიტორინგის პერიოდში (1 აგვისტო -15 ოქტომბერი) პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან სულ 157 ანტიდასავლური გზავნილი გამოვლინდა, საიდანაც ყველაზე დიდი წილი (65) დასავლეთის[1], როგორც ღირებულებითი სივრცის, ასევე გეოგრაფიული და ინსტიტუციური ერთობის წინააღმდეგ იყო მიმართული. შემდეგ ადგილზეა ნატო (41), აშშ (26), არასამთავრობო ორგანიზაციები და სოროსი (15), ხოლო ბოლო ადგილზე - ევროკავშირი (10).

დიაგრამა 1. პოლიტიკოსების წინასაარჩევნო ანტიდასავლური გზავნილები თემატიკის მიხედვით



პოლიტიკოსებიდან ყველაზე მეტი ანტიდასავლური კომენტარი (89) კრემლისტურმა პარტია "პატრიოტთა ალიანსმა" გააკეთა, რომელსაც შემდეგი სუბიექტები მოსდევენ: ულტრანაციონალისტური "ქართული მარში" და "ქართული იდეა" (18), ასევე ამ ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული დიმიტრი ლორთქიფანიძე (11), რომელიც ამავდროულად პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელია, ხოლო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის იყრიდა კენჭს. 2-2 კომენტარი გამოიკვეთა პარტია ტრიბუნის, ასევე კიდევ 2 პრორუსული პარტიის - გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის და ქართული დასის შემთხვევაში. სხვადასხვაში გაერთიანებული არიან ის სუბიექტები, რომლებმაც მხოლოდ 1 კომენტარი გააკეთეს.

[1] ამ კატეგორიაში მოხვდა გზავნილები, რომლებიც ერთდროულად როგორც ამერიკას, ასევე ევროპას და საერთაშორისო ინსტიტუტებს შეეხება; ასევე შემთხვევები, როცა დასავლეთი როგორც ერთიან გეოპოლიტიკურ და ღირებულებით სივრცედ განიხილება.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სუბიექტების უმეტესობა ფიგურირებს სხვადასხვა დოკუმენტებში, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში კრემლის ჩარევას შეეხება. კერძოდ: **პატრიოტთა ალიანსისა** და კრემლის წინასაარჩევნო თანამშრომლობაზე საუბარია ცენტრ "დოსიეს" ჟურნალისტურ გამოძიებაში;[2] ესტონეთის საგარეო დაზვერვის 2019 წლის ანგარიშში[3] კი, რომელიც 2020 წლის არჩევნებში რუსეთის ჩარევაზე ასევე ამახვილებს ყურადღებას, კრემლთან კავშირში მყოფ სუბიექტებად ულტრანაციონალისტური "**ქართული მარში**", ასევე **პრიმაკოვის სახელობის რუსულ-ქართული ცენტრია** დასახელებული.

აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთი ულტრანაციონალისტური პარტია "ქართული იდეა", რომელიც კვლევაში კი პრიმაკოვის ცენტრთან ერთად ფონდ "რუსული სამყაროს" მხარდაჭერილ ღონისძიებებში არის აქტიურად ჩართული[4].

დიაგრამა 2. პოლიტიკოსების წინასაარჩევნო ანტიდასავლური გზავნილები პარტიების მიხედვით



პატრიოტთა ალიანსმა ყველაზე მეტი კომენტარი ნატოს (36) წინააღმდეგ გააკეთა, რაც მეტწილად როგორც ინტეგრაციის მიმართ სკეპტიციზმის გაღვივებას, ასევე ნეიტრალიტეტის მხარდაჭერის აუცილებლობას შეეხებოდა. ნატოს მოსდევს ამერიკის შეერთებული შტატები (22) და დასავლეთი (20). "ქართული მარშის" ყველაზე მეტი განცხადება დასავლეთის (16) და ჯორჯ სოროსისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ (10) იყო მიმართული. "ქართული იდეის"(14) და დიმიტრი ლორთქიფანიძის

[2] არჩევნებზე პატრიოტთა ალიანსისთვის კრემლის მიერ გაწეულ დამხარებაზე ჟურნალისტური გამოძიება მიხაილ ხოდორკოვსკის პროექტმა „დოსიემ" გამოაქვყენდა, რის გამოც ოპოზიცია არჩევნებში უცხო ქვეყნისჩარევაზე გამოძიებას ითხოვდა. https://bit.ly/2I20xBt

[3] International Security and Estonia 2019 გვ 51 https://www.valisluureamet.ee/pdf/raport-2020-en.pdf

[4] MDF, რუსული სამყარო საქართველოში. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/117

შემთხვევაშიც (7) ყველაზე მეტი კომენტარი დასავლეთის წინააღმდეგ გაკეთდა, სადაც აქცენტი თავსმოხვეული ანტილიბერალური კანონმდებლობის გაუქმების აუცილებლობაზე კეთდებოდა. გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ორივე განცხადება ნატოს შეეხებოდა.

დიაგრამა 3. პოლიტიკოსების გზავნილები პარტიებისა და თემატიკის მიხედვით



1.2. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა

1.2.1. დასავლეთი

კანონმდებლობა. ანტიდასავლურ გზავნილებში ყველაზე დიდი წილი თავსმოხვეულ ლიბერალურ კანონმდებლობას შეეხებოდა, რომლის გადახედვის აუცილებლობაზე ძირითადად "ქართული იდეა", "ქართული მარში", დიმიტრი ლორთქიფანიძე და პატრიოტთა ალიანსი საუბრობდნენ. კრიტიკის საგანი იყო შემდეგი კანონმდებლობა:

- ***ანტიდისკრიმინაციული კანონი***, რომლის რეპრეზენტაცია მხოლოდ ლგბტ თემთან მიმართებით ხდებოდა და ერთი სქესის პირთა ქორწინებასთანაც იყო გაიგივებული;
- ***იუვენალური მართლმსაჯულება,*** რომელიც კრემლის დისკურსის ზუსტი ანალოგიით 'იუვენალურ ფაშიზმთან' იყო გათანაბრებული;
- ***ბავშვთა კოდექსი,*** რომელიც ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ მიმართულად იყო წარმოჩენილი;
- ***ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა*** ოჯახის ერთიანობის ხელყოფასთან და ოჯახის საქმეებში ჩარევასთან იყო გაიგივებული.
- ***მიწის კანონი*** კი ანტიქართულ რეგულაციად წარმოჩენილი.

ანტილიბერალური პარტიები და კანდიდატები საარჩევნოდ შემდეგი კანონმდებლობის გადახედვის ან ინიცირების პირობას იძლეოდნენ:

პირადობის მოწმობაში ეროვნების გრაფის აღდგენა	**გიორგი გიგაური, ქართული მარში, ჟურნალისტი:** „ჩვენი გაზეთი უკვე მერამდენე წელია, მოითხოვს მოქკავშირის "სოროსელ-რეფორმატორთა" მიერ ქართველთათვის წართმეული ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის დაბრუნებას! და აი, ყინული, როგორც იქნა, დაიძრა![5]“
რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კანონი ეკლესიას აღვირახსნილი კამპანიისგან დაიცავს	**სანდრო ბრეგაძე, ქართული მარში** : “პირველი კანონპროექტი, რომელსაც ჩვენ პარლამეტში შევიტანთ, იქნება საქართველის პატრიარქის მიერ ინიცირებული კანონპროექტი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ და ამით ჩვენ საბოლოოდ წერტილს დავუსვამთ იმ აღვირახსნილ, ბინძურ კამპანიას, რომელიც მიმდინარეობს, მართლმადიდებლური ეკლესიის და სხვა კონფესიების წინააღმდეგ[6]. “
ბავშვთა კოდექსი	**მიხეილ მახარაძე, ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატი აჭარის უმაღლეს საბჭოში, ქართული მარში: “***ის კოდექსი პირდაპირ მიმართულია ქართული ოჯახის დანგრევისაკენ[7].”*
ანტიდისკრიმინაციული კანონი, იუვენალური კანონმდებლობა, მიწის კოდექსი	**რამინი აბესაძე, ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი, ქართული იდეა:** “იგივე **ოკუპანტი არის**, უფრო უარესი ოკუპანტი არის ის **დასავლეთი**, ის ამერიკა, რომელიც ჩვენ გვთავაზობს ბინძურ კანონებს, დისკრიმინაციულ კანონს, ბავშვთა კოდექსს[8].” “ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი ან გაუქმდეს ანდა ამოღებულ იქნეს იქიდან ეს ტერმინები “გენდერული იდენტობა” და “სექსუალური ორიენტაცია,” აი, ეგ ორი მუხლია ამოსაღები[9]”. **დიმიტრი ლორთქიფანიძე, დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარობის დამოუკიდებელი:** "აქამდე მიღებული საკანონმდებლო ბაზა, დაწყებული ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონით, გაგრძელებული იუვენალური ფაშიზმის ტრიადითა და დამთავრებული მიწის კოდექსითა თუ სხვა ანტიქართული კანონებით, გადაიხედება... ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანაში დავასრულოთ ნეოლიბერალური ტირანია[10]". **ზურაბ მესხი, მაჟორიტარობის კანდიდატი სამტრედიის, წყალტუბოს, ვანის და ხონის მუნიციპალიტეტში, ქართული იდეა:** “არა! ანტიდისკრიმინაციულ კანონს ის რეფერენდუმის გზით უნდა გაუქმდეს, რომელიც ყველგვარი სიბილწის სათავეა!”[11]
ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა	**მალხაზ თოფურია, პატრიოტთა ალიანსი, მაჟორიტარობის კანდიდატი კრწანისის რაიონში:** „მე ვხედავ გარდატეხას იმ პოპულიზმის, იმ რაღაც ლიბერალური იდეების... ნუ რაღაც ჯერ გენდერული უკვე თანასწორობა არ ჰქვია ძალადობას, რაღაც ძალადობას იგონებენ, რა იმას არ ჰქვია თანასწორობა. ეხლა 3000-ზე მეტი მამაკაცი ზის ციხეში ოჯახურ ძალადობაზე და ნუ ეს სტატისტიკა არის… ისეთი მსუბუქი შემთხვევებიც არი, რომ ცოლ-ქმარმა იჩხუბეს და ახალი ამ ბაია პატარაიას ჭკუით გადასულ იმაზე სრულიად მიუღებელი ხდება[12]“.

[5] ასავალ-დასავალი, 12 – 18 ოქტომბერი

[6] 28 ოქტომბერი https://www.facebook.com/QartuliMarshi/posts/1061725864248433

[7] ტვ12, არჩევნები 2020, 2 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3976056

[8] ქუთაისი პოსტის სტუდია, არჩევნები 2020, 19 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3978839

[9] მეგა ტვ, მთავარი, 23 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3978953&rc=1

[10] საქართველო და მსოფლიო, 29 სექტემბერი. https://bit.ly/2HBV2tk

[11] ფეისბუქ ანგარიში, 1 ოქტომბერი, https://www.facebook.com/zurab.meskhi.5/posts/1682785138566466

[12] ობიექტივი, ღამის სტუდია, 9 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3965122

მიუღებელი ღირებულებები/თავს მოხვეული ჰომოსექსუალობა. ყველაზე ხშირად გზავნილს, რომ დასავლეთი მიუღებელ ლიბერალურ ღირებულებებს და ჰომოსექსუალობას გვახვევს თავს, "ქართული მარში" ახმოვანებდა. მისი ლიდერი სანდრო ბრეგაძე, **მცდარი დილემის**[13] ტექნიკას მიმართავდა, როცა კრემლის მიერ დავით გარეჯის ინტერესების დაცვის საპირწონედ დასავლეთის მიერ "მამამთმავლების" დაცვის პოლიტიკას აყენებდა:

> **სანდრო ბრეგაძე, ქართული მარში:** "**თუ დავით გარეჯის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა კრემლის ინტერესები არის** და **მამათმავლების დაცვა, არის დასავლური პოლიტიკა,** მაშინ ყველაზე დიდ დისკრედიტაციას დასავლეთს უკეთებენ ის ხალხი, ვინც ამას ამბობენ და ლაპარაკობენ. ჩვენ ოკუპირებული გვყავს აფხაზეთი, ოკუპირებული არი ცხინვალის რეგიონი და ჯერჯერობით ოკუპირებული არის დავით-გარეჯი. ჩვენ ყველა ეს რეგიონი უნდა გავათავისუფლოთ ოკუპაციისგან[14]".

ესტონეთის დაზვერვის 2019 წლის ანგარიში, რომელიც 2020 წლის საქართველოს არჩევნებში რუსეთის ჩარევის გეგმებსაც მიმოიხილავს და ამ კონტექსტში "ქართულ მარშზე", როგორც ანტილიბერალური დისკურსის გამხმოვანებელზე საუბრობს, შემდეგ ჩანაწერია გაკეთებული:

> „ბოლო წლებში საქართველოში ე.წ ტრადიციული ღირებულებების გავრცელების პროპაგანდის დიდი ზრდა შეინიშნება. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს „ქართული მარში", 2017 წელს შექმნილი ქოლგა-ორგანიზაცია ექსტრემისტული მოძრაობებისთვის. მისი მიზანია, შეეწინააღმდეგოს, მათი თქმით, ქართულ საზოგადოებაზე დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ ღირებულებებს, რომელიც, მათი თქმით, ქართველებისა და ქართული საზოგადოების არსებობას ემუქრება. ეს აგრესიული მოძრაობაა, რომელიც არ ერიდება ოპონენტებზე ფიზიკურ თავდასხმას. მისი მიზანია, ძირი გამოუთხაროს ევროკავშირსა და NATO-ში – დაახლოებით 15 წლის განმავლობაში არსებული საგარეო პოლიტიკური კონსენსუსის – გაწევრიანების საზოგადოებრივ მხარდაჭერას. „ქართული მარშის" ლიდერთა შორისაა რამდენიმე პირი, რომელიც რუსეთთან და მისი გავლენის აქტივობებთან არის დაკავშირებული[15]".

ესტონეთის დაზვერვის აღნიშნული განცხადების საპასუხოდ სანდრო ბრეგაძემ ჰომოფობიური შინაარსის დეზინფორმაცია გაავრცელა, რომელიც ფოტომანიპულაციას ეყრდნობოდა და ამტკიცებდა, რომ სურათზე ესტონეთის ჰომოსექსუალი დაზვერვის შეფი და მისი დამცველი ესტონეთის პრეზიდენტი იყვნენ გამოსახული. ამ უკანსკნელს ის "დებილად" მოიხსენიებდა[16].

---

[13] მცდარი დილემის ტექნიკა ანუ შავ-თეთრი აზროვნების ტექნიკა გულისხმობს მხოლოდ ორი ალტერნატივის დასახვას და ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებას.http://millab.ge/ka/mil-resources/any/16/any/

[14] მარშალპრესი, 9 ოქტომბერი, https://mpn.ge/archives/34462

[15] https://netgazeti.ge/news/427239/

[16] https://www.mythdetector.ge/ka/myth/vin-aris-adamiani-romelsats-sandro-bregadze-estonetis-dazvervis-shepad-asaghebs

კორონაპანდემია. მონიტორინგის პერიოდში კორონავირუსის და ვაქცინაციის თემაზე პოლიტკოსების მხრირდან 5 კონსპირაციული გზავნილი და 10 კომენტარი დაფიქსირდა:

კორონავირუსი=მოქალაქეებს ტოტალურ კონტროლს	**დიმიტრი ლორთქიფანიძე, მაჟორიტარობის კანდიდატი, პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი:** "კოვიდის პანდემია ციფრული დიქტატურის დასაწყისია!...ანუ ეს არის გლობალიზაციის დამაგვირგვინებელი ფაზა, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ უფრო მეტად გაიზრდება ტოტალური კონტროლი მსოფლიოს მოსახლეობაზე[17]."
კორონავირუსი არ არსებობს	**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „არავითარი კორონავირუსი არ არის, ეს არის, უბრალოდ, აი, ესე იგი, მთელმა მსოფლიომ თქვა, რომ ტყუილიაო, მსოფლიო ამბობს, რომ არაფერს არ კეტავს, აღარც კინოთეატრებს არ კეტავს ევროპა[18].“
კორონა არსებობს! ტრამპის მტრები პატრიოტთა ალიანსის ლიდერების კორონავირუსით დაინფიცირებას გეგმავენ	**სოსო შატბერაშვილი, მემარცხენე ალიანსი/პატრიოტთა ალიანსი:** "არსებობს "პატრიოტთა ალიანსის" ლიდერების კორონავირუსით დაინფიცირების გეგმა. ეს არის ჯგუფი, რომელიც ებრძვის დონალდ ტრამპს. საქართველოში მისი წარმომადგენელია "მაკ-კეინის ინსტიტუტის" დირექტორი დევიდ კრამერი[19]."
იუნისეფი იძულებით ვაქცინაციას გვავალდებულებს	**ლევან ჩაჩუა, ქართული იდეა**: "SOS!!! SOS!!! SOS!!! ხელთ ჩაგვივარდა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც – “გაეროს ბავშვთა ფონდი, კორონავირუსის ვაქცინის გლობალური ხელმისაწვდომობის მექანიზმის (COVAX Facility) სახელით, მწარმოებლებთან და პარტნიორებთან აწარმოებს მუშაობას ვაქცინების დოზების შესყიდვაზე, ვაქცინების ტრანსპორტირების, ლოჯისტიკისა და შენახვის საკითხებზე… შევიკრიბოთ… და მოვთხოვოთ ხელისუფლებას უარი თქვას თავსმოხვეულ იძულებით ვაქცინაციაზე! ასევე მოვითხოვოთ იუნისეფის გაძევება საქართველოდან!!![20]"
სოროსი, ბილ გეითსები და ილონ მასკები თაღლითურ ვაქცინაციას და პირბადეებით დამონებას გვპირდებიან	**რამინი აბესაძე, ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი, ქართული იდეა:** ”თუკი ეს ადამიანები მოდიან სოროსის სახელით, ბილ გეითსების, ილონ მასკების და რაღაც თაღლითურ ვაქცინაციასაც გვიპირებენ და პირბადეების აკვრას მონებივით, ჩვენ რატომ უნდა გვრცხვენოდეს, ქრისტეს სახელით მოვიდეთ? ჰოდა, ჩვენ დღეს სწორედ მოვდივართ ქრისტეს სახელით[21].”

[17] ასავალ-დასავალი, 28 სექტემბერი - 4 ოქტომბერი

[18] ობიექტივი, ყველას გასაგონად, 22 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3969429

[19] ასავალ-დასავალი, 12 – 18 ოქტომბერი

[20] ნიუსფრონტი, 13 სექტემბერი. https://bit.ly/3kFqbKD

[21] ქუთაისი პოსტის სტუდია, არჩევნები 2020, 19 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3978838

1.2.2. ნატო

ნატოს წინააღმდეგ ყველაზე მეტი კომენტარი "პატრიოტთა ალიანსის" წევრებმა (36) გააკეთეს, რა დროსაც შემდეგი გზავნილები დომინირებდა:

ნატო = თურქულ ჯარს საქართველოში	**გურამ ნიკოლაიშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „თუ საქართველოში იქნება ნატო, იქნება თურქული ნატო![22]"
ნატო=ტერიტორიების დაკარგვას	**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „...ანუ ოღონდ აქ ნატო შემოვიდეს და ყველაფერი უნდა მივცეთ, სოხუმი, ცხინვალი, ბათუმი, ახალციხე, ოზურგეთი, ყველაფერი. ოღონდ აქ სადმე გაჩნდეს ნატო და რაც მთავარია, ამის მერე ეს ნატო მაინც ვერ შემოდის[23]."
ნატო ვერ დაგვიცავს	**გურამ ნიკოლაიშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „თუ რუსეთს დასჭირდა ვინ გააჩერებს? რომელი საერთაშორისო ორგანიზაცია და ანდა სამხედრო ბლოკი აღუდგება წინ, მითხარით, ერთი?[24]"
ნეიტრალიტეტის გამოცხადებით მოვაგვაროთ ურთიერთობა რუსეთთან	**ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** "ვფიქრობ, გამოსავალი არის ის, რომ საქართველომ უნდა მოაგვაროს ურთიერთობა რუსეთთან, რაც უმნიშვნელოვანესია, ამასთანავე - ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ **სამხედრო მიუმხრობლობა**. აი, ეს იქნება საბოლოოდ გარანტი იმისა, რომ ვერც დასავლეთი და ვერც სხვა რომელიმე პოლიტიკური ვექტორი პლაცდარმად ვერ გამოგვიყენებს[25]".
ნეიტრალიტეტი+პირდაპირი დიალოგი მოსკოვთან, ცხინვალთან, სოხუმთან	**გოჩა თევდორაძე, პატრიოთა ალიანსი:** „კი - სამხედრო მიუმხრობლობას, კი - პირდაპირ დიალოგს მოსკოვთან, ცხინვალთან, სოხუმთან, კი - აღმშენებლობას და კი უკეთეს ხვალინდელ დღეს ჩვენი ქვეყნისას და ჩვენი მოსახლეობისას[26]."

ნატოს წინააღმდეგ ტრადიციული გზავნილების გარდა, პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელმა გააჟღერა მოსაზრება, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის გამო სამხედრო მოქმედებების განახლება ნატოს წვრთნებს უკავშირდებოდა:

> **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „...მაგრამ ეს [ყარაბახის კონფლიქტი] უდავოდ უკავშირდება აქ ნატოს წვრთნებს, სხვათა შორის. აქ არის საშიშროება დიდი ომის, გააჩნია რომელი მხარე როგორ მოიქცევა[27]."

მსგავსი გზავნილები თანხვედრაში იყო ნარატივთან, რომელიც ამკვიდრებს აზრს, რომ დიდი სახელმწიფოები რუსეთის პროვოცირებას ახდენენ და საქართველოს რუსეთთან დაპირისპირების პოლიგონად იყენებენ, რასაც "პატრიოტთა ალიანსის" გარდა პრიმაკოვის ცენტრის ხელმძღვანელიც ახმოვანებდა:

---

[22] ობიექტივი, ღამის სტუდია, 10 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3965544

[23] ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 აგვისტო. https://www.myvideo.ge/?video_id=3957432

[24] ალია, 12-18 ოქტომბერი

[25] საქართველო და მსოფლიო, 12 აგვისტო. https://bit.ly/31GlHuI

[26] ობიექტივი, ნამდვილი ამბები, 30 სექტემბერი

[27] ობიექტივი, ნამდვილი ამბები, 29 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/?video_id=3971530

დიმიტრი ლორთქიფანიძე, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დიდუბე–ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში: "გავლენიანი საერთაშორისო ექსპერტების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ბრიტანეთი დაინტერესებულია კავკასიის რეგიონში თურქეთის გავლენის გაძლიერებით და რუსეთის პოზიციების შესუსტებით. ეს ნიშნავს, რომ დასავლეთი დაინტერესებულია, კავკასია გადაიქცეს ზესახელმწიფოთა დაპირისპირების პოლიგონად, რომლის დასაწყისიც იქნება თურქეთის პროვოკაციული ქმედებების შედეგად რუსეთის ჩათრევა ფართომასშტაბიან ომში. აი, სწორედ ამის მცდელობად შეიძლება შეფასდეს ის, რაც დღეს ხდება სამხრეთ კავკასიის ორ სუვერენულ სახელმწიფოს - სომხეთსა და აზერბაიჯანს - შორის. თუმცა, არანაკლებ დიდი ინტერესია საქართველოს მიმართაც, რაც ნათლად ჩანს ხოლმე დასავლეთის პროვოკაციულ ქმედებებში, როცა რუსულ–ქართული ურთიერთობების მოგვარების დადებითი ნიშნები გამოჩნდება ხოლმე[28]".

1.2.3. აშშ

ამერიკის წინააღმდეგ გზავნილები ძირითადად სუვერენიტეტის ხელყოფას და შიდა პოლიტიკურ პროცესში ჩარევას უკავშირდებოდა, რასაც ყველაზე ხშირად ისევ "პატრიოტთა ალიანსი" ახმოვანებდა.

ამერიკა გვმართავს	**ვიქტორ ცაავა, "პატრიოტთა ალიანსის" მარტვილი–აბაშა–წალენჯიხა–ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი:** "საქართველოს ხელისუფლება უფლებამოსილი არ არის, დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგას. ჩვენი ქვეყნის მმართველებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა უკარნახოს, რა გააკეთონ[29]".
ამერიკა გაყოფილია: პატრიოტთა ალიანსს და ტრამპს ერთი და იგივე ძალები ებრძვიან	**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „არა დევიდ კრამერებს, მიხეილ სააკაშვილებს და გიგა ბოკერიებს და კი დონალდ ტრამპს, იმიტომ, რომ **ჩვენ და დონალდ ტრამპი... ვართ ფაქტიურად ერთ დღეში.** სწორედ დევიდ კრამერია ის ხალხი, ის კაცი და მისი ჯგუფი, რომელმაც ჯერ ტრამპი დაადანაშაულა რუსეთთან ფარულ კავშირებში და ყველაფერი სიყალბე აღმოჩნდა, ჩვენც გვადანაშაულებს და ესეც სრული სიყალბეა... ჩვენ კაცო, საჯარო ურთიერთობა გვაქვს, რად გვინდა ფარული კავშირები[30].“
ახალისებს ფერად რევოლუციებს	**გიორგი ლომია, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:** "ამათ [მაკკეინის ფონდი, სოროსი ანუ ბრაიზა] შემუშავებული აქვთ კეისი ანუ ფერადი რევოლუციის კეისი აქვთ შემუშავებული და სხვადასხვა ქვეყანაში ახორციელებენ ამ ფერად რევოლუციებს[31]."
ამერიკა ვერ დაგვიცავს	**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** "მოაწეროს ხელი [ისრაელ-ამერიკის მსგავსს ხელშეკრულებას]! რატომ არ აწერს? ხომ ვართ სტრატეგიული პარტნიორები?.. პირდაპირ გეუბნებიან საუბარში, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში ეხლა არ შედის რუსეთთან რაიმე ომში ჩაბმა, საქართველოს გამო, არ შედის[32]."

[28] საქართველო და მსოფლიო, 20 ოქტომბერი. https://bit.ly/3kFCPt5

[29] საქართველო და მსოფლიო, 15 სექტემბერი. https://bit.ly/31RWQ8l

[30] ობიექტივი, ღამის სტუდია, 9 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3974560

[31] ობიექტივი, ღამის სტუდია, 3 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3972843

[32] ობიექტივი, ღამის სტუდია-ყველას გასაგონად, 15 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3967028

1.2.4. არასამთავრობო ორგანიზაციები/ჯორჯ სოროსი

არასამთავრობო ორგანიზაციების და ფილანტროპ ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ ყველაზე მეტი კომენტარი "ქართული მარშის" მხრიდან გაკეთდა (10). ამავე დროს ისმოდა მოწოდებები უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების კანონმდებლობით შეზღუდვის შესახებ.

სოროსელები უცხო ქვეყნების დაკვეთას ასრულებენ	**ერმილე ნემსაძე, ქართული მარშის ქუთაისი მაჟორიტარობის კანდიდატი:** "მოკლედ თქვენს წინაშეა ბელორუსის პრეზიდენტობის აწ უკვე ყოფილი კანდიდატები... ვრცელდება ინფორმაცია სამივე მათგანს გააჩნია უცხო ქვეყნის მოქალაქეობა... მოკლედ, ეს გასაკვირი არაა, **სოროსელებს ზოგადად გააჩნიათ 2-3 და შეიძლება მეტი სამშობლოც[33]"**.
უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული ფონდები უნდა აიკრძალოს	**გიორგი გაბედავა, ქართული მარშის ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი:** "ძალიან უნდა ეკა გიგაურს რაღაც ფონდებთან დაგვაკავშიროს... იქ სადაც მოვითხოვეთ სოროსის ფონდის გაბრძანება საქართველოდან, არ დაგვიწყებია პრიმაკოვის ფონდიც! **რუსული, ამერიკული, თურქული, ირანული თუ არგენტინული დაფინანსება უნდა იყოს აკრძალული კანონით, როცა მსგავსი ორგანიზაციები ქართულ შიდა პოლიტიკურ თემებში უხეშად ერევიან,** როცა ტერიტორიულ მთლიანიბას უქმნიან საფრთხეს, როცა აღვივებენ შუღლს თანამოქალაქეებში, **როცა ხელს უწყობენ ომებს სხვა ქვეყნებში[34]**."
საქართველოში სოროსისტულ-ლიბერალური ძალების ადგილი არ არის	**მიხეილ მახარაძე, ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატი აჭარის უმაღლესი საბჭოში, ქართული მარში:** "ჩვენ ვთვლით, რომ სოროსისტულ ლიბერასტული ძალები უნდა გავიდნენ, აილაგმონ საქართველოდან[35]."

1.2.5. ევროკავშირი/ევროპა

ევროკავშირთან მიმართებით ყველაზე ნაკლები ნეგატიური კომენტარი გაკეთდა და მეწილად პატრიოტთა ალიანსის (8) მხრიდან. გზავნილები შემდეგი ხასიათის იყო:

- **ევროკავშირის ბაზრის ათვისება საქართველოსთვის არარეალისტურია**: „ესპანელები და იტალიელები ხოცავენ ერთმანეთს იმაზე, რომ იმ ბაზარში სეგმენტი თვითონ დაიჭირონ და შენ ვინ შეგიშვებს ასე იოლად?[36]" (ნანა დევდარიანი, პატრიოტთა ალიანსის მაჟორიტარობის კანდიდატი).
- **თავს გვახვევს მიუღებელ ღირებულებებს.** "დაანებონ ჩვენი ეროვნული ღირსების, ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული კანონების ჩვენთვის თავს მოხვევას. ეს, კიდევ ვიმეორებ, ერის ცნობიერებას ანადგურებს[37]" (ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი).
- **გვმართავს, ერევა ქვეყნის სუვერენულ საკითხებში:** "ნუთუ ახლა ჩვენ ვართ ასეთი ოჯახურად მოძალადე ერი? ეს ხომ სისულელეა ეხლა... იმიტომ, რომ ევროპამ თქვა, რომ სასტიკად უნდა დაისაჯოს ოჯახური ძალადობისთვის[38]" (დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი).

---

[33] ნიუს-ფრონტი, 17 აგვისტო. https://bit.ly/31TPHnY
[34] პირადი ფეისბუქ გვერდი, 3 აგვისტო. https://www.facebook.com/gabedava.gio/posts/1587501674760707?__tn__=-R https://archive.ph/SX80G
[35] ტვ12, არჩევნები 2020, 2 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3976054
[36] ობიექტივი, ღამის სტუდია, 19 ოქტომბერი, https://www.myvideo.ge/v/3977530
[37] საქართველო და მსოფლიო, 23 სექტემბერი. https://bit.ly/2Jk8ani
[38] ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 აგვისტო. https://www.myvideo.ge/?video_id=3957468

II. სიძულვილის ენა

2.1. საერთო რაოდენობრივი მონაცემები

მონიტორინგის პერიოდში სულ სიძულვილის ენის შემცველი 140 კომენტარი გაკეთდა, საიდანაც ყველაზე დიდი წილი ქსენოფობიაზე (87) მოდის, რასაც ჰომოფობიური (47) კომენტარები თითქმის ნახევარჯერ ჩამორჩება, ხოლო ინდივიდუალური შუღლის გამღვივებელი განცხადებები ყველაზე მცირეა (6).

დიაგრამა 4. სიძულვილის ენა ტიპოლოგიის მიხედვით



პოლიტიკოსების მხრიდან ყველაზე მეტი დისკრიმინაციული განცხადება "პატრიოტთა ალიანსის" (75) წარმომადგენლებმა გააკეთეს, რასაც მოსდევს "ქართული მარში" (37), "თავისუფალი საქართველო" (7), "ქართული იდეა" (5), "ქართული ფესვები" (4) და "ლელო"(4); ლეიბორისტების და ქართული ოცნების შემთხვევაში 2-2 მაგალითი გამოიკვეთა. სხვადასხვაში გაერთიანებულია ნაციონალური მოძრაობის, ჩვენი საქართველოს, ალექსანდრე ერქვანიას და დიმიტრი ლორთქიფანიძის თითო თითო კომენტარი.

დიაგრამა 5. სიძულვილის ენა პარტიების მიხედვით



2.2. ქსენოფობია

ქსენოფობიური გზავნილების ყველაზე დიდი წილი თურქოფობიაზე (59) მოდის, რასაც "პატრიოტთა ალიანსის" (51) ტრადიციული კამპანია განაპირობებდა, რომელიც მხარდაჭერების მობილიზებას ისტორიული ტრავმის გაღვივებით და რუსეთის საფრთხიდან ყურადღების ისტორიულ საფრთხეებზე გადატანით ცდილობდა. შემდეგ ადგილზეა მიგრანტების (12) და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გასხვისების წინააღმდეგ (6) გაკეთებული კომენტარები, რასაც არმენოფობიური შეფასებები მოსდევს.

ქსენოფობია	თურქოფობია	მიგრანტები	მიწებისუცხოელებზე გასხვისების წინააღმდეგ	არმენოფობია	სხვადასხვა
პატრიოტთა ალიანსი	51	6	5		1
ქართული მარში	4	2	1	2	3
თავისუფალი საქართველო	1	3			1
ლეიბორისტული პარტია	1	1			
ქართული ფესვები	1			1	
სხვადასხვა	1				
ნაციონალური მოძრაობა				1	
ქართული ოცნება				1	
	59	**12**	**6**	**5**	**5**

თურქოფობია. თურქოფობია პატრიოტთა ალიანსის საარჩევნო კამპანიის შემადგენელი იყო, რაც როგორც სარეკლამო კლიპებსა და ქუჩის გარე რეკლამაზე აისახა, სადაც აჭარა თურქეთის მიერ ოკუპირებულად იყო წარმოჩენილი, ასევე ტრადიციული და სოციალური მედიით გაკეთებულ კომენტარებში. ისევე, როგორც წინა წლებში, პარტია შემდეგი გზავნილების ტირაჟირებას ახდენდა:

- **ახორციელებს ექსპანსიას:** „აჭარაში რომ თურქეთის მხრიდან მიზანმიმართული ეკონომიკური და იდეოლოგიური ექსპანსია ხორციელდება, ამაზე მრავალი წელია საჯაროდ ვსაუბრობთ... და რა თქმა უნდა, დასაცავია აჭარა, დასაცავია ჩვენი წილი საქართველო![39]" (ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი). "იმ უმძიმეს წლებში, როცა ოსმალეთი მუსრს ავლებდა მართლმადიდებელ საქრისტიანოს და, მათ შორის, საქართველოს, ის ასევე აქტიურად მიმართავდა ეკონომიკურ ექსპანსიას, რომელსაც სხვადასხვა ფორმით ახორციელებდა[40]"(ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი).

[39] სააგენტო პირველი, 29 აგვისტო, https://pia.ge/ka/news/politics/irma-inashvili-baneri-sruliad-ganskhvavebuli-sakhit-mivighet-politsabchoze/

[40] საქართველო და მსოფლიო, 12 აგვისტო. https://bit.ly/31GlHuI

- **თურქეთი საფრთხეა**: „...და სულ მალე, ისე რომ არანაირი სამხედრო ძალის გამოყენება და რეფერენდუმი არ დასჭირდებათ, მარწუხებში მოგვაქცევენ და დიდი ალბათობით, პოლიტიკურ პარტიასაც შექმნიან და აჭარის უმაღლეს საბჭოშიც უმრავლესობით მოვლენ!!![41] (გიორგი ლომია, პატრიოტთა ალიანსი).
- **თუ რუსეთია ოკუპანტი, თურქეთიც (სხვა მეზობლებიც) ოკუპანტია:** "საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილში უცხო ქვეყნის ჯარი დგას ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, ეს ოკუპაციაა. არის ჩვენი ქვეყნის მეორე ტერიტორიაც, იქ არ დგას ჯარი, მაგრამ ისიც ოკუპირებულია. ასე რომ, საქართველო ორი, სამი თუ მეტი ქვეყნის მიერაა ოკუპირებული და ეს სიმართლეა, რომელზეც არავინ ლაპარაკობს. საქართველო კოლონიაა."[42]" (ვიქტორ ცაავა, პატრიოტთა ალიანსი მარტვილი–ჩხოროწყუ–წალენჯიხა–აბაშის ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი).

მიგრანტების წინააღმდეგ. მიგრანტების წინააღმდეგ განცხადებებს როგორც პატრიოტთა ალიანსი, ასევე ქართული მარში, თავისუფალი საქართველო და ლეიბორისტული პარტიაც აკეთებდნენ.

- **შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:** "ერი, რომელიც გადაშენების გზაზე ვართ, რომელიც ვცოტავდებით, ვინც დარჩა, ისიც გარბის აქედან, ვინც ვერ გაიქცა, გაქცევას აპირებს და ამ დროს გავუხსნათ კარი მთელ ირანს, პაკისტანს და არაბეთს, აქ ჩამოვასახლოთ და ინტერნაციონალი უნდა გამოვიდეთ?[43]"
- **სანდრო ბრეგაძე, ქართული მარში**: „მარტო ქუჩის აქციებითაც კი იმდენი შევძელით ... ქართული მიწების უცხოტომელებზე გაყიდვა ავაკრძალვინეთ, პარლამენტის ტრიბუნიდან კი გაცილებით მეტს მოვახერხებთ... საქართველოში არალეგალურად მცხოვრები კრიმინალი უცხოელების მასობრივ დეპორტაციასაც მივაღწევთ[44]."
- **კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო:** „ჩვენ, ერთის მხრივ, უნდა შევზღუდოთ ქვეყანაში, გინდათ ჩინელი და გინდათ არაბი და ნებისმიერი სხვა მიგრანტების შემოყვანა და მათზე ბინადრობის მოწმობების გაცემა[45]."

ისლამოფობია. შედარებით მცირე იყო ისლამოფობიური კომენტარები, რაც ძირითადად პარტიების რეგიონული წარმომადგენლების მხრიდან გამოვლინდა.

- **გოდერძი კუბლაშვილი, სამცხის მაჟორიტარობის კანდიდატი, თავისუფალი საქართველო:** "...დიდი უმრავლესობაა ამ ქვეყანაში სწორედ რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს... იმიტომ, რომ იმ რეგიონში, იმ სოფელში თუნდა, სადაც მინარეთი დაიდგა, მართლმადიდებელი მოსახლეობა ცხოვრობს და მათი უფლებები შეილახა პირველ რიგში… იმ რეგიონში, რომელსაც ჩვენ ზედა ზონას ვეძახით, ისედაც ბევრი მინარეთია მიმაგრებული მეჩეთებზე დინამიკებით და არც ისე სასიამოვნოა დილიდან საღამომდე ჩართული დინამიკებში მოლის მოძახილი[46]."
- **ნინო კვარაცხელია, პატრიოტთა ალიანსი, ზუგდიდი**: "ბათუმს არაფერი სჭირს ხომ დასაცავი?! ხოდა ჩართეთ ახლა ეს ვიდეო და უსმინეთ მოლას ყმუილს[47]".

---

[41] ალია, 21-27 სექტემბერი

[42] საქართველო და მსოფლიო, 9 სექტემბერი, https://bit.ly/33ikllc

[43] მთავარი არხი, ღამის მთავარი, 28 ივლისი. https://www.myvideo.ge/?video_id=3958056

[44] ასავალ-დასავალი, 31 აგვისტო - 6 სექტემბერი

[45] საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 20 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3977935

[46] SK.TV, 9 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3967642

[47] ფეისბუკ პოსტი, 31 აგვისტო. https://www.facebook.com/nino.kvaratskhelia.92775/posts/395306794774986



არმენოფობია. არმენოფობიური კომენტტარები შედარებით მცირე იყო (5) და ის როგორც მმართველი პარტიის, ასევე ნაციონალური მოძრაობის და სხვა პარტიის წარმომადგენლებმა გააკეთეს:

- **შმაგი ხუბულური, გორის მუნიციპალიტეტი, ქართული ოცნება:** "სომხეთოფობი არ ვარ, მაგრამ აი, ეს არ ჯდება არანაირ ლოგიკაში. ესაა [ვიდეო, რომელიც სომხურ ჩურჩხელას ეხება] ტიპიური მაგალითი თუ როგორი მტაცებლები არიან. დასკვნა თქვენთვის მომინდვია[48]".
- **აზერ სულეიმანოვი, ნაციონალური მოძრაობის მარნეულისა და გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატი:** "ბოლო 30 წელია აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა **ამაზრზენი მეზობელი სომხეთის** და სომხური ტერორისტული გაერთიანებების ოკუპაციის ქვეშაა[49]."

2.3. ჰომოფობია

ყველაზე მეტი ჰომოფობიური კომენტარი "ქართულმა მარშმა" (22) გააკეთა, რომელსაც მოსდევს "პატრიოტთა ალიანსი" (12), "ქართული იდეა" (5) და იდენტური მონაცემებით "ქართული ფესვები" (2), ლელო (2), თავისუფალი საქართველო (2).

[48] პირადი ფეისბუქ გვერდი, 24 სექტემბერი. https://www.facebook.com/shmagi.khubuluri/posts/3192255534217170?__tn__=-R

[49] ფეისბუქ ანგარიში, 27 სექტემბერი https://www.facebook.com/azer.suleymanov.18/posts/3278071982299899

დიაგრამა 6. ჰომოფობია პარტიების მიხედვით



პოლიტიკური ოპონირების ფარგლებში, ანტილიბერალური პარტიები მათ კონკურენტ ძალებს "გეი-რევოლუციონერებად", "ლგბტ კოალიციად", "ლიბერასტ ურჯულოებად" მოიხსენიებდნენ და აქცენტს აკეთებდნენ იმაზე, რომ ქართველ ხალხს არჩევანი გეი-რევოლუციონერებსა და ეროვნულ ძალებს შორის უნდა გაეკეთებინა:

- **არჩევანი უნდა გაკეთდეს გეი-რევოლუციონერებსა და ეროვნულებს შორის**

დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: „ჩვენ წარმოვადგენთ ქართველ ხალხს და ხალხი უნდა დაირაზმოს და აუცილებლად მივიდეთ და ვიბრძოლოთ არჩევნებზე, რომ მორიგჯერ არ დაიჩაგროს საქართველო, **თორემ ბოლოს გავწყდებით სუყველა ჩვენ და დარჩება ეს ქვეყანა გეი-რევოლუციონერებს**[50].“

გიორგი გიგაური, "ასავალ-დასავალის" ჟურნალისტი, ქართული მარში: „ეს საარჩევნო გაერთიანება, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ჩვეულებრივი **ლგბტ კოალიციაა!**... თუ მოხდა სასწაული და ნაციონალურ-რესპუბლიკური კოალიცია ხელისუფლებაში მოვიდა, პირველი, რასაც გააკეთებენ, ამ ლგბტ დროშას სრულიად საქართველოს ჩამოამხობენ თავზე, სკოლებსა და ბაღებში კი ჩვენს შვილებს აღმზრდელებად კაბიან კაცებს მიუქსევენ! ფუი, ეშმაკს![51]"

სანდრო ბრეგაძე, ქართული მარში: „რეალური ბრძოლა იქნება არა ქოც-ნაცებს შორის, არამედ ეროვნულებსა და ლიბერასტ-ურჯულოებს შორის, გაიმარჯვებს მორალი-ზნეობა-ტრადიციები-რწმენა-ქართველობა ან ქვეყანა კიდევ უფრო ჩაეფლობა უფლის გმობის-გარყვნილების-ჰომოსექსუალიზმის-ნარკომანიის ჭაობში!!![52]"

[50] ობიექტივი, ღამის სტუდია, 14 აგვისტო https://www.myvideo.ge/?video_id=3958913
[51] ასავალ-დასავალი, 21 -27 სექტემბერი
[52] News-front, 5 აგვისტო. https://bit.ly/324QXET

გედევან ფოფხაძე, ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი: "თუ უნდათ დაბოლოლი საქართველო ერთსქესიანთა ქონწინების ფონზე, ხმას ზურაბ ჯაფარიძეს მისცემს[53]".

ამასთანავე ისმოდა ჰომოსექსუალობის კანონმდებლობით აკრძალვის და ლგბტ თემის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მოთხოვნები.

ჰომოსექსუალები კანონმდებლობამ უნდა შეიზღუდოს	**მალხაზ თოფურია, პატრიოტთა ალიანსი, მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატი:** „მე მგონია პარლამენტში უბრალო კანონი არი მისაღები რა, რომელიც მეც შემზღუდავს, სხვათაშორის რაა, როგორც ჰეტეროსექსუალს, აიკრძალოს საქართველოში სექსუალური ნიშნით ჩატარებული ისა, მანიფესტაციები და მიტინგები... როდესაც კანონის ფარგლებში ჩაჯდება, შეიზღუდება რა აი, ეს გრანტები, რომელიც კიდევ ვამბობ რაა, ამ ადამიანებზე ხელის მოთბობა არი და მეტი არაფერი რაა[54]“.
ჰომოსექსუალებს გამოხატვის თავისუფლება უნდა შეეზღუდოთ	**რამინი აბესაძე, ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი, ქართული იდეა:** “თავის ბუნაგში, მკაცრად ვიტყვი, ვისაც რა უნდა ის აკეთოს, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ჩემს ერს, ჩემს ქალაქს, ჩემს სამშობლოს, მე პირადად არავის არ მივცემ იმის უფლებას, რომ გამოვიდეს და ელგებეტე დროშა აფრიალოს, რაღაც გარყვნილება უქადაგოს ჩემს დას, ჩემს ძმას, ჩემს შვილებს, როცა მეყოლება, ვთქვათ. უზნეო ცხოვრების წესი იქადაგოს და ეს გამოაცხადოს, თითქოს ეს არის ნორმა და სოდომიზაცია, რომლის გამოც დაისაჯნენ, ბიბლიიდან ვიცით[55]”.
ჰომოსექსუალობა ავადმყოფობაა	**ბესიკ ჩუბინიძე, რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატ, ქართული ფესვები:** “...ხარ ავადმყოფი იმიტომ, რომ ხარ კაცი, კაცი გქვია და გინდა კაცთან ურთიერთობა[56]”.
ლიბერალიზმი=გარყვნილებას, იდენტობის დაკრგავს	**გიორგი მელაძე, ლელო საქართველოსთვის, შიდა ქართლი:** “ლიბერალიზმს ამოფარებული ქართული იდენტობის, სულის, ტრადიციების მტრები არიან ადამიანები, ვინც შეფარულად ფულს აკეთებენ და თავზე გვახვევენ "თავისუფლებას", მაგრამ მათი მოტანილი თავისუფლება ნიშნავს გარყვნილებას, ჩვენი იდენტობის უგულებელყოფას, ყველამ იმ ფუნდამენტის უარყოფას რომელმაც აქამდე მოგვიყვანა[57].”

[53] რეზონანსი, 19 აგვისტო. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=102567

[54] ობიექტივი, ღამის სტუდია, 9 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3965346

[55] მეგა ტვ, მთავარი, 23 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/?video_id=3978943

[56] პოლიტიკური ტაქსი, 14 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3977446

[57] პირადი ფეისბუქ გვერდი, 2 აგვისტო https://www.facebook.com/photo.php?fbid=311843796892872&set=a.122535509157036&type=3&theater

III. წინასაარჩევნო დისკრედიტაციის კამპანიები

ოპოზიციის წინააღმდეგ

წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციის წინააღმდეგ ყველაზე თვალსაჩინო 3 მადისკრედტირებელი კამპანია გამოიკვეთა, რომელთაგან უმეტესობა ნაციონალური მოძრაობის მმართველბის პერიოდს ეხებოდა და მხოლოდ ერთი მიმდინარე კრიმინალურ ინციდენტს, როცა ბანკზე თავდასხმა მძევლად აყვანილი პირის პარტიული კუთვნილების გამო სახელისუფლებო ანგარიშებმა ნაციონალურ მოძრაობას დაუკავშირეს. ეს კამპანიებია:

1. **გარეჯი საქართველოა!** წინა ხელისუფლებამ დავით გარეჯი აზერბაიჯანს მიყიდა.
2. **ომი სააკაშვილმა დაიწყო**.
3. ზუგდიდში **ბანკის ძარცვა ნაციონალური მოძრაობის პროვოცირებულია**.

1. დავით გარეჯის თემა. ყველაზე გავლენიანი დისკრედიტაციის კამპანია, რაც ხელისფულებამ წინასაარჩევნოდ ოპოზიციის წინააღმდეგ წამოიწყო, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის თემას ეხებოდა, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის სადავო სასაზღვრო მონაკვეთზე მდებარეობს და რომლის დემარკაცია დასრულებული არ არის[58]. აღნიშნული კამპანია აყალიბებდა ნარატივს, რომ ოპონენტები ეკლესიებს და სამშობლოს ჰყიდიან, ხოლო ხელისუფლება, ამ საფრთხეების განეიტრალებს ახდენს. ეს კამპანია ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ულტრანაციონალსტური და პრორუსული ძალებისთვის, რომლებიც საფრთხეების და ოკუპაციის კონტექსტში რუსეთთან ერთად აზერბაიჯანსაც განიხილავდნენ.

7 ოქტომბერს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის ყოფილი წევრები ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა 17 აგვისტოს დაწყებული[59] გამოძიების საფუძველზე დააკავა[60]. არასამთავრობო ორგანიზაციებმა წინასაარჩევნოდ ინიცირებული ეს გამოძიება პოლიტიკურად მოტივირებულად შეაფასეს[61]. აღნიშნული საქმე საყურადღებო იყო შემდეგი ფაქტორების გამო:

- **გამოძიების დაწყების დრო და თანმხლები ნარატივი.** საქმე საპარლამენტო არჩევნების წინ იყო ინიცირებული, რასაც თან ახლდა მმართველი პარტიის განცხდებები იმის შესახებ, რომ წინა ხელისუფლებამ აზეირბაჯანს ისტორიული ძეგლი მიჰყიდა, ქართული ოცნება კი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ახდენს.
- **რუსეთის ჩარევა.** ტოპოგრაფიული რუკები თავდაცვის სამინისტროს რუსულ სპეცსამსახურებთან დაახლოებულმა ბიზნესმენმა დავით ხიდაშელმა მიაწოდა, რომელმაც მედიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მას დავით გარეჯის საკითხზე დახმარება პირადად ბიძინა ივანიშვილმა სთხოვა[62]. მედიის ინფორმაციით, ეს დოკუმენტები მან რუსეთის საგარეო დაზვერვის საიდუმლო

[58] https://civil.ge/ka/archives/376516
[59] http://pog.gov.ge/news/saqarTvelos-1
[60] http://pog.gov.ge/news/saqarTvelo-1
[61] http://mdfgeorgia.ge/geo/view_statements/654
[62] https://www.radiotavisupleba.ge/a/30891633.html

ოფიცრის, ოლეგ მუბარაშკინის დახმარებით მოიპოვა[63]. ამასთანავე გარეჯის თემაზე გამოძიების დაწყებას 2019 წელს პრორუსული პარტია პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ირმა ინაშვილიც ითხოვდა[64].

> დავით ხიდაშელი ამჟამად საბერძნეთის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის მწარმოებელი INTRACOM S.A. TELECOM SOLUTIONS დირექტორთა საბჭოს პრეზიდენტია[65]. მანამდე, 2007-2014 წლებში ხიდაშელს Sistema JSFC- ში[66] სხვადასხვა თანამდებობა, მათ შორის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის და ინოვაციების დირექტორის ეკავა. აღსანიშნავია, რომ Sistema-ს აღმასრულებელი დირექტორი ამჟამად რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის (FSB) აკადემიის კურსდამთავრებული ვლადიმერ ჩირახოვია[67]. „სისტემას“ აქციონერთა ყოველწლიური კრების დოკუმენტის თანახმად, 2015 წელს დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედიოდა ლევან ვასაძე[68], რომელიც ოჯახების მსოფლიო კონგრესთან (WCG) დაკავშირებული პირია[69].

გზავნილები. სამართლებრივ პროცესს თან ახლდა “ქართული ოცნების” პოლიტიკური ლიდერების განცხადებები იმის შესახებ, რომ წინა ხელისუფლებამ ისტორიული ძეგლი გაყიდა, რაც ანტილიბერალური და ულტრანაციონალისტული ჯგუფების რიტორიკას ასაზრდოებდა, რომლებიც აქცენტს აზერბაიჯანის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკეთებდნენ:

მამუკა მდინარაძე, ქართული ოცნება: „საბედნიეროდ, ვერ მოხდა ბოლომდე იმის „გაპრავება“, რაც მათ [ნაციონალურ მოძრაობას] უნდოდათ. ყველაფერი გაამზადეს, ყველანაირი საფუძველი შექმნეს იმისათვის, რომ ეს ტერიტორია, საქართველოს ტერიტორია და ქართული იდენტობის ერთ-ერთი სერიოზული კულტურული ძეგლი გადასცემოდა სხვა ქვეყანას[70]“.

ირაკლი ღარიბაშვილი, თავდაცვის მინისტრი: „მე ვფიქრობ, ნორმალურ, ძლიერ სახელმწიფოში ასეთი პოლიტიკური ორგანიზაცია უბრალოდ დაიხურებოდა. ამ ადამიანებს, და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ვისაც დაუმტკიცდებოდა ღალატის ჩადენა საკუთარი ქვეყნის და ხალხის წინაშე[71]“.

ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი: „თუ ამ ლოგიკას გავყვებით გამოდის, რომ რუსეთი ჩვენ გვეხმარება, იმაში, რომ ჩვენთვის სამართლიანად გადაწყდეს საკითხი“[72].

სანდრო ბრეგაძე, ქართული მარში: "ჩვენ ოკუპირებული გვყავს აფხაზეთი, ოკუპირებული არი ცხინვალის რეგიონი და **ჯერჯერობით ოკუპირებული არის დავით-გარეჯი**. ჩვენ ყველა ეს რეგიონი უნდა გავათავისუფლოთ ოკუპაციისგან[73]".

---

63 http://www.tabula.ge/ge/story/179735-ra-vicit-pirze-vinc-ambobs-rom-davit-garejis-rukebi-saxelmtsifos-gadasca

64 https://bit.ly/38mCbxh

65 http://www.intracom-telecom.com/en/company/profile/management.htm

66 https://sistema.ru/upload/iblock/0cc/0cc9e8e2737233639561a998b3ec4de8.pdf

67 https://bit.ly/2JRVkgt

68 https://bit.ly/3l8287c

69 http://mythdetector.ge/ka/myth/ojakhebis-msoplio-kongresis-rusuli-kavshirebi

70 სააგენტო პირველი, 7 ოქტომბერი. https://bit.ly/36eAI9r

71 სააგენტო პირველი, 16 ოქტომბერი. https://bit.ly/3eFH1Ha

72 ტვ ფორმულა, 9 ოქტომბერი. https://bit.ly/32nq27e

73 მარშალპრესი, 9 ოქტომბერი, https://mpn.ge/archives/34462

დავითი გარეჯის თემის ინიცირებას სოციალურ ქსელებში 36 პოსტი და 21 477 ინტერქცია მოჰყვა.

აღნიშნულ თემას ელექტორატის კონსოლიდაციისთვის არა მხოლოდ მმართველი პარტია[74], არამედ “პატრიოტთა ალიანსი[75]”, “ქართული მარში” და “ქართული იდეა”[76] იყენებდნენ:

> **ნანა დევდარიანი, პატრიოტთა ალიანსი:** "პატრიოტთა ალიანსს" მხარი უნდა დაუჭირონ ჯერ მარტო იმიტომ, რომ… იგივე დავით-გარეჯი, რომელიც საქართველოა და "პატრიოტთა ალიანსს" რომ არ შეეძინა ეს მუხტი ამ საქმისთვის და არ დაენახვებინა ყველასთვის, რომ ჩვენ ამას არ შევეგუებით, ეს დღევანდელი წამოწყებული გამოძიება არ იქნებოდა[77]”.





პოლიტიკური პარტიების განცხადებებს სასულიერო პირებისა და რელიგიური ფეისბუკ გვერდების იდენტური შინაარსის რიტორიკა მოსდევდა:

> **შალვა კეკელია, ვაკის ტაძრის მღვდელმსახური:** "ადამიანები საუბრობენ იმაზე, რომ არ გვინდა აზერბაიჯანთან ურთიერთობები გავიფუჭოთ და მზად ვართ, ეს ტერიტორიები დავთმოთ. ჩემთვის, მაგალითად, **ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ჩემს მიწას ისაკუთრებს, ჩვენი ქვეყნის მტერი**ა. მით უმეტეს, დავით გარეჯი, ადგილი, სადაც 6 000 გარეჯელი ბერი მოღვაწეობდა, რომლებიც ეწამნენ, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ტერიტორიაა. ამიტომ, ნებისმიერი ადამიანი ან ტელევიზია, რომლებიც

---

74 https://bit.ly/3k8fy1H
75 https://bit.ly/3kbCgWO
76 https://bit.ly/3laItDP
77 1 ოქტომბერი https://bit.ly/3eGsPgI

გამოდიან და ამბობენ, არ გვინდა ურთიერთობის დაძაბვაო — ჩემთვის პირადად, თუნდაც დაიძაბოს ურთიერთობა იმ მიწებთან დაკავშირებით: თუ რუსეთია მტერი, ასევე, ნებისმიერი ქვეყანა მტერია ჩემთვის, ვინც მიწას გვართმევს"[78].





ტელეკომპანია "იმედი", რომელიც სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკას ატარებს, არჩევნების დღეს ეთერში სლოგანით "გარეჯი საქართველოა!" გადიოდა, რომელიც არჩევნების დღის შემდეგ ეთერიდან მოიხსნა. იდენტური სლოგანით ზიარდებოდა ფეისბუკზე "პატრიოტთა ალიანსთან" აფილირებული მედია-კავშირი "ობიექტივის" მასალები გარეჯზე[79].



[78] On.ge 14 ოქტომბერი https://bit.ly/3p6vbKO

[79] https://bit.ly/3eE6DDY

2. ომი საქართველომ დაიწყო. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მე-12 წლისთავზე ქართულ მედია სივრცესა და სოციალურ ქსელში ღიად პრორუსული, კრემლთან დაკავშირებული აქტორები და ანტილიბერალური ჯგუფები აგვისტოს ომის დაწყებაში საქართველოს დადანაშაულებით კვლავ აქტიურად ტირაჟირებენ რუსეთის ხელისუფლების გზავნილს, რომლის დანერგვას კრემლისტური პროპაგანდა ქართულ საზოგადებასა და საერთაშორისო ასპარეზზე წლებია ცდილობს.

მმართველი პარტია "ქართული ოცნების" წარმომადგენლები ომის დაწყებაში რუსეთთან ერთად წინა ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ, ამასთანავე აცხადებდნენ, რომ წინა ხელისუფლებამ თვითონ აღიარა ომის დაწყებაში საკუთარი ბრალეულობა, რაც საერთაშორისო დოკუმენტებში (იგულისხმება რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ ევროსაბჭოს 2008 წლის რეზოლუცია[80]) არის დადასტურებული[81].

> **ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება:** "ამ ოკუპაციას ჰყავს ორი თანაავტორი, ერთი არის პუტინი, რუსეთის ფედერაცია და მეორე არის მიხეილ სააკაშვილი[82]".
>
> **ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება:** „არის ფაქტები, სადაც უტყუარად დასტურდება წინა ხელისუფლების დანაშაული. რუსული ინტერესების გამტარებელი იყო სოწრედ „ნაციონალური მოძრაობა", რომელმაც 2006 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები შემოხაზა, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო ოკუპაციას და დღემდე უდევს საფუძვლად უკანონო ბორდერიზაციას[83]".

ომის დაწყებაში წინა ხელისუფლების დადანაშაულებას პრორუსული პარტია "პატრიოტთა ალიანსიც" ახდენდა, რომელიც ამავე დროს ავითარებდა ძველ თეზას, რომ რუსეთთან მიმართებით ტერმინ "ოკუპანტის" გამოყენება მიზანშეუწონელია და რომ საქართველო კონფლიქტის მოგვარებას, დასავლეთის პარტნიორების მონაწილეობის გარეშე, მოსკოვთან პირდაპირი დიალოგის გზით უნდა შეეცადოს:

> **ვიქტორ ცაავა, მარტვილი–აბაშა–ჩხოროწყუ–წალენჯიხის ოლქში პატრიოტთა ალიანსის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი**: " სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ისე გადასცეს ახალგორი მოწინააღმდეგეს, რომ არავინ იცის, სად გადის საზღვარი. დღეს, სააკაშვილის "ნაცმოძრაობის" წარმომადგენლების თქმით, საქართველოში ე.წ. მცოცავი ოკუპაცია მიმდინარეობს, მაგრამ არავინ ამბობს, რაზე მოაწერა ხელი სააკაშვილმა და სად გადის საზღვარი. არავინ იძიებს იმ საკითხს[84]."
>
> **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „არ უნდა გამოვიყენოთ ტერმინები „ოკუპირებული ტერიტორიები" და „ოკუპანტი". ზიანის გარდა ამას არაფერი მოაქვს. აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოს ავტონომიები აღარასოდეს იქნება. გამოიყოფა ეს ტერიოტორიები, ან აფხაზეთის ნაწილი გახდება დამოუკიდებელი და ნაწილი დაბრუნდება საქართველოში თუ რამე სხვა ფორმა, ჯერ არ ვიცი[85]".

---

80 http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17681

81 http://mythdetector.ge/ka/myth/vin-da-rogor-amtkitsebs-rom-omi-sakartvelom-daicqo

82 https://bit.ly/36hJNyj

83 სააგენტო პირველი, 8 ოქტომბერი. https://bit.ly/3ldXxR4

84 საქართველო და მსოფლიო, 13 ოქტომბერი. https://bit.ly/358dYJ4

85 მთავარი არხი, პოსტ ფაქტუმი, 11 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3975011

ვიქტორ ცაავა, პატრიოტთა ალიანსის მარტვილი–აბაშა–ჩხოროწყუწალენჯიხის ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი: "თუ გვინდა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მოგვარდეს, რუსეთთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, ამას ალტერნატივა არ აქვს. ის, რომ ჩვენს ტერიტორიაზე იკვეთება რამდენიმე დიდი სახელმწიფოს ინტერესები, ფაქტია. რაც შეეხება ამერიკისა და ევროპის ჩართულობას კონფლიქტის მოგვარების საკითხში, მიმაჩნია, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი, აშშ-ისა და ევროკავშირის გარეშე დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან რუსეთთან და დაიცვას თავისი ინტერესები. ჩვენ რუსეთთან ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვაქვს[86]".

3. ბანკის ძარცვა ნაციონალური მოძრაობის პროვოცირებულია.

“მითების დეტექტორმა” გამოავლინა14 ფეისბუკ ანგარიში, ასევე 4 სახელისუფლებო მედია, რომელიც ზუგდიდში მომხდარ ბანკზე შეიარაღებულ თავდასხმაში[87] ნაციონალური მოძრაობის კვალს იმ მიზეზით ხედავდა, რომ ერთ-ერთი მძევალი, ნაციონალური მოძრაობის წევრი აღმოჩნდა[88]. ასევე გამოვლინდა 4 ანტი-ლიბერალური და პრორუსული ანგარიში, სადაც იდენტური შინაარსის გზავნილები ვრცელდებოდა. აღნიშნულმა გვერდებმა ამ თემაზე ჯამურად 13 დაფინანსებული პოსტი გამოაქვეყნეს.

ოპერაციის მსვლელობის პროცესშივე სოციალურ ქსელში ანტი-ოპოზიციურმა და პრო-სახელისუფლებო გვერდებმა კამპანია წამოიწყეს, რომელიც მომხდარს ოპოზიციურ პარტია ნაციონალურ მოძრაობას უკავშირებდა და მას სახელმწიფოს დესტაბილიზაციისათვის ორგანიზებულ ინცინდენტად აფასებდა. გავრცელებულ ნარატივს თან ახლდა მძევალ ირაკლი კვარაცხელიას მიერ “ერთიანი ნაციონაური მოძრაობის” წევრებთან, მათ შორის მიხეილ სააკაშვილთან ერთად გადაღებული ფოტოსურათები, ასევე ამოჭრილი კადრი მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი ლაივ-მიმართვიდან, რომელშიც ის ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი მისგან სიურპრიზებს უნდა დაელოდოს.

[86] საქართველო და მსოფლიო, 20 ოქტომბერი. https://bit.ly/36eD0W8

[87] 2020 წლის 21 ოქტომბერს ზუგდიდში “საქართელოს ბანკის” ფილიალში შეიარაღებულმა პირმა მძევლები აიყვანა და გამოსასყიდის სახით თანხას ითხოვდა. https://civil.ge/ka/archives/376575

[88] http://www.mythdetector.ge/ka/myth/ra-ghirs-peisbukze-bankis-dzartsvis-natsionalur-modzraobastan-dakavshirebis-kampania

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გამოვლინდა ოპოზიციასთან დაკავშირებული 2 გვერდი (ექვთიმე ბიძინაშვილი, HAHA News - ჰაჰა ნიუსი), რომელიც მომხდარში ბიძინა ივანიშვილს ადანაშაულებდა.

ოპოზიციის მიდისკრედიტირებელი ანგარიშები	ანტილიბერალური/ პრორუსული ანგარიშები	სახელისუფლებო/და სხვა მედია	ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ანგარიშები
პოლიტიკური მოთვალთვალე, მიხეილ უკრაინოლოგი, ტერენტინ გლდანელი, შუბლის ძარღვ გაწყვეტილები, ნაცია - ადამიანი?!, სირცხვილის კორიდორი, ამხილე, სექტა, ერთიანი პროვოკაციული მოძრაობა, ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო, ნაცი კლავს, პოლიტიკური სარკაზმი, საზოგადოება და მეხუთე რეიხი.	ანტი-პარადოქსი სტალინი კარდჰუ პოლიტიკანო. Politicano	• POSTV -ახალი ამბები • Reportiori.ge • მედია ჰოლდინგი- პარალელი • რეზონანსი	HAHA News - ჰაჰა ნიუსი ექვთიმე ბიძინაშვილი

IV. პოლიტიკოსების მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში “მითების დეტექტორმა” პოლიტიკოსების და საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტების მიერ გავრცელებული 22 დეზინფორმაციული და მანიპულაციური შინაარსი გადაამოწმა. აქედან ყველაზე მეტი დეზინფორმაცია “პატრიოტთა ალიანსის” (9) წარმომადგენლებს ეკუთვნით, შემდეგ ადგილებზე არიან: “ქართული მარში” (7), “ქართული იდეა” (2) და პრიმაკოვის ქართულ-რუსული ცენტრის ხელმძღვანელი დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელიც არჩევნებში დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარ კანდიდატად მონაწილეობდა (2), თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა (1) და ზვიად ტომარაძე, რომელიც გლდანში კენჭს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა მოძრაობის სახელით იყრიდა.

დიაგრამა 7. დეზინფორმაციის წყაროები პარტიების მიხედვით



როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, **პატრიოტთა ალიანსი** ყველაზე ხშირად ისტორიით მანიპულირებდა და ამ თემას თურქოფობიური განწყობების გასაღვივებლად იყენებდა (ყარსის ხელშეკრულება, ტერიტორიული მთლიანობის საფრთხე); ეკონომიკური თემები ძირითადად მიწის და ტყეების უცხოელებზე გასხვისების საფრთხეს შეეხებოდა და ისტორიით მანიპულირების მსგავსად, ქსენოფობიურ კონტექსტს ქმნიდა.

ქართული მარში იდენტობის დაკარგვის საფრთხეების (სექსუალური, გენდერული, რელიგიური) გარდა, ბალტიის ქვეყნებთან მიმართებით კრემლის დეზინფორმციულ გზავნილებს იმეორებდა. ქართული მარშის წევრებმა ესტონეთის მოქმედი

(იხ.ანტიდასავლური გზავნილები) და ლიეტუვას ყოფილი პრეზიდენტების, ასევე აშშ-ში საქართველოს ელჩის წინააღმდეგ 3 დეზინფორმაცია გაავრცელეს, რაც მიზანმიმართული დისკრედიტაციის ხასიათს ატარებდა. აღსანიშნავია, რომ ლიეტუვას ყოფილი პრეზიდენტის დალია გრიბაუსკაიტეს კგბ-ს აგენტობის შესახებ ქართული მარშის წევრის იდენტურ ყალბ ცნობებს 2015-2019 წლებში კრემლის პროპაგანდისტული პლატფორმები სპუტნიკი, Ria Novosti, lenta.ru და სხვები ავრცელებდნენ[89].

ქართული იდეის წარმომადგენლები და პრიმაკოვის ცენტრის ადგილობრივი ხელმძღვანელი ბავშვთა კოდექსის შესახებ მანიპულაციურ ინტერპრეტაციებს ახდენდნენ და დეზინფორმაციას ავრცელებდნენ, რა დროსაც ბავშვთა კანონმდებლობას რუსული ნარატივის მსგავსად "იუვენალურ ფაშიზმთან[90]" აიგივებდნენ.

პანდემიასთან და ვაქცინაციასთან დაკავშირებით 3 დეზინფორმაცია პატრიოტთა ალიანსის, ქართული იდეის და ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა მოძრაობის წარმომადგენლებმა ზვიად ტომარაძემ გაავრცელეს, რაც ძირითადად ვირუსის არარსებობას და ვაქცინაციის საფრთხეებს შეეხებოდა.

[89] http://www.mythdetector.ge/ka/myth/kartuli-marshis-dampudznebeli-kremlis-da-rusuli-propagandistuli-mediebis-braldebebs-imeorebs

[90] http://mythdetector.ge/ka/myth/mitebi-titkos-iuvenaluri-kanonmdebloba-ojakhis-institutis-cinaaghmdeg-aris-mimartuli

	წყარო	გზავნილი	თემატიკა	დარღვევის ტიპი
პატრიოტთა ალიანსი	დავით თარხან-მოურავი	თურქეთმა ყარსის ხელშეკრულების პირობა დაარღვია	ისტორია/თურქოფობია	დეზინფორმაცია, ისტორიით მანიპულაცია
	ირმა ინაშვილი[91]	თურქეთის რუკაზე ბათუმი და აჭარა თურქეთის ნაწილია	ისტორია/თურქოფობია	ფოტომანიპულაცია
	ირმა ინაშვილი	კონტრბრალდებები: "დოსიე ცენტრზე" გამოქვეყნებული ინფორმაცია პარტიის რუსულ კავშირებზე სანდო არაა, რადგან ნებისმიერს შეუძლია შექმნას ვებ-გვერდი და მისთვის სასურველი ინფორმაცია განათავსოს	პოლიტიკა/რუსეთთან კავშირები	სატირა, ყალბი გვერდი
	დავით თარხან-მოურავი	საქართველოში მიწის ძირთითადი ნაწილი ირანელებს აქვთ ნაყიდი	ეკონომიკა/მიწის გასხვისება	დეზინფორმაცია
	ნანა დევდარიანი	საქართველოში ტყის მასივებს ჩინეთის მოქალაქეები ფლობენ	ეკონომიკა/ტყეებისჩინელებზე გასხვისება	დეზინფორმაცია
	დავით თარხან-მოურავი	მსოფლიომ კორონავირუსის არარსებობა აღიარა და ევროპაში შეზღუდვები მოხსნეს	ჯანდაცვა/პანდემია	დეზინფორმაცია
	გურამ ნიკოლაიშვილი	აშშ-სგან მოწოდებული ჯაველინები უვარგისია	თავდაცვა/აშშ	დეზინფორმაცია
	დავით თარხან-მოურავი	NDI-იმ IRI-იმ კვლევების ჩატარება 1 წლით პატრიოტთა ალიანსის მიერ სიცრუეში მხილების შემდეგ შეწყვიტეს	კვლევები	დეზინფომრაცია
	ვაჟა ოთარაშვილი	მანდატურები ევროპაში პირველად ნაცისტური პარტიის მმართველობის დროს გაჩნდა და საქართველოში მათი გამოჩენა "მომავალი თაობის გამოლენჩებას" ემსახურება	განათლება	დეზინფორმაცია
ქართული მარში	სანდრო ბრეგაძე	ესტონეთის დაზვერვის უფროსი ლგბტ თემის წარმომადგენელია	იდენტობა/ჰომოფობია	ფოტომანიპულაცია/ დეზინფორმაცია
	სანდრო ბრეგაძე	სოროსმა 4 მილიონი მართლმადიდებლობასთან საბრძოველად გამოყო	იდენტობა/რელიგია	დეზინფორმაცია
	სანდრო ბრეგაძე ირაკლი შიხიაშვილი	სახალხო დამცველის აპარატი სახელმწიფო დაწესებულებაა, რომლის დაფინანსება სოროსის ფონდის მიერ მისი ,,მოქრთამვაა".	ინსტიტიცონალური დამოუკიდებლობა/სოროსი	მანიპულაცია
	ერმილე ნემსაძე	ლიეტუვას ყოფილი პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე KGB-ს აგენტია	პოლიტიკა	დეზინფორმაცია
	ენრი ონიანი	ვიდეოში ქალთა უფლებების აქტივისტი პროსტატიტ დაავადებულთა დასჯაზე საუბრობს, რასაც პოსტის ავტორის ტექსტი ახლავს: „ულტრა რადიკალ ფემინისტ-ლიბერასტის იდეა და ესენი მიისწარფვიან განვითარებისკენ?"	კანონმდებლობა/აბორტის კრიმინალიზება	ვიდეომანიპულაცია
	ერმილე ნემსაძე	საქართველოში ამერიკის ელჩი კელი დეგნანი დონალდ ტრამპის იმპიჩმენტს ითხოვდა	პოლიტიკა	დეზინფორმაცია

[91] პატრიოტთა ალიანსის წინასაარჩევნო კლიპი https://www.facebook.com/watch/?v=930110434162566

დამოუკიდებელი კანდიდატი	დიმიტრი ლორთქიფანიძე, დიდუბე-ჩუღურეთის დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი, პრიმაკოვის ცენტრი	ბავშვთა კოდექსის საფუძველზე, ბავშვს მშობელს უმიზეზოდ ჩამოართმევენ	კანონმდებლობა/ოჯახის ინსტიტუტი	მანიპულაცია
	დიმიტრი ლორთქიფანიძე	ამერიკას საქართველოში პირდაპირი ინვესტიციები არ განუხორციელებია	ეკონომიკა	დეზინფორმაცია
ქართული იდეა	ლევან ჩაჩუა	Unicef იძულებითი ვაქცინაციას გვავალდებულებს	პანდაცვა/პანდემია	დეზინფორმაცია
	ლევან ჩაჩუა	3 წლის ბავშვის ოჯახიდან განცალკევება იუვენალური ფაშიზმია და ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ არის მიმართული	კანონმდებლობა/ოჯახის ინსტიტუტი	მანიპულაცია
თავისუფალი საქართველო	კახა კუკავა	ბერიამდე ქართველები საქართველოში უმცირესობაში იყვნენ,	ისტორია/მიგრაცია	დეზინფორმაცია
ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა მოძრაობა	ზვიად ტომარაძე	კორონავირუსის სტატისტიკა გაზვიადებულია	პანდაცვა/კორონაპანდემია	დეზინფორმაცია

V. დეზინფორმაცია სოციალურ მედიაში პოლიტიკური და სხვა სუბიექტების წინააღმდეგ

მონიტორინგის პერიოდში "მითების დეტექტორმა" საარჩევნო პროცესში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების და მათთან დაკავშირებული პირების, ასევე ამერიკის ელჩის და ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატიის ჯო ბაიდენის წინააღმდეგ 31 დეზინფორმაცია გამოავლინა და გადაამოწმა. ეს სუბიექტებია: ოპოზიცია, საიდანაც ყველაზე დიდი წილი ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და მასთან დაკავშირებულ სუბიექტებზე მოდის (16) და ქართული ოცნება (8). ამასთანავე 4 შემთხვევაში დეზინფორმაცია და მანიპულაციური შინაარსი მმართველი პარტია ქართული ოცნების მხარდასაჭერად გავრცელდა. ყალბი ცნობების გადამოწმების პროცესში 1 სახელისუფლებო და 1 ოპოზიციასთან დაკავშირებული ტროლი გამოვლინდა. 2 დეზინფორმაცია მიზანმიმართულად ამერიკის ელჩის წინააღმდეგ გავრცელდა, 1 კი - ტრამპის ქართველი მხარდამჭერი გვერდის მიერ ჯო ბაიდენის წინააღმდეგ.

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო ციტატების გაყალბება (9) და ყალბი ინფორმაცია (9), ასევე გაყალბებული პოსტების/დოკუმენტების და ფოტო-ვიდეომანიპულაციის (8) გავრცელება. მონიტორინგის პერიოდში მმართველი პარტიიის სასარგებლოდ ქლიქბაიტ საიტებით ცრუ მოლოდინების შექმნის 3 და ოპოზიციის წინააღმდეგ ყალბი მხარდამჭერი გვერდის შექმნის 2 შემთხვევა გამოვლინდა.

დიაგრამა 8. **დეზინფორმაციის ტიპოლოგია და ადრესატები**



გამოვლინდა 56 ფეისბუკ ანგარიში, რომელიც ოპოზიციის წინააღმდეგ ყალბ ცნობებს ავრცელებდა და მეტწილად მმართველ პარტიასთან იყო აფილირებული; ასევე 30 ანგარიში, რომელიც ყალბ ცნობებს მმართველი პარტიის წინააღმდეგ აქვეყნებდა და ნაციონალურ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული; პრორუსული და პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებული (9), ასევე ულტრანაციონალისტური/ანტილიბერალური (4) სოციალური მედიის ანგარიშები შედარებით მცირე იყო, თუმცა ამ ჯგუფების

წარმომადგენლები პოლიტიკოსების მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაციის ნაწილში დომინირებენ, სადაც 22-ვე დეზინფორმაციული კომენტარი პრორუსულმა და ულტრანაციონალისტმა საარჩევნო სუბიექტმა გააკეთეს.

ფეისბუკ ანგარიშები/მედია საშუალებები	ოპოზიციის წინააღმდეგ/ქართულ ოცნებასთან დაკავშირებული	ხელისუფლების წინააღმდეგ/ ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული	პრორუსული/პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებული	ულტრანაციონალისტული/ ანტილიბერალური
FB გვერდები	13	13	4	3
FB ჯგუფი	23	13	2	
ინდივიდუალური FB პროფილი	6	4		1
ონლაინ მედია/FB გვერდები	14		3	
ჯამი	56	30	9	4

დეზინფორმაციის დიდი წილი შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებას ასახავდა, 2 შემთხვევაში დეზინფორმაცია როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების წინააღმდეგ კრემლის პროპაგანდის დღის წესრიგთან იყო თანხვედრაში და კრემლთან დაკავშირებულ აქტორებისგან მომდინარეობდა.

აღსანიშნავია, რომ "მითების დეტექტორის" მიერ ფეისბუკზე ყალბი ცნობების დეზინფორმაციად მონიშვნის შემდეგ, რაც ფეისბუკთან Third party Fact-Checking program-ის[92] ფარგლებში გახდა შესაძლებელი, ყალბი ინფორმაციის შესახებ 17 მასალას რეაგირება მოჰყვა და ფეისბუკ ანგარიშებმა მცდარად შეფასებულ შინაარსი თავადვე წაშალეს.

5.1. სამიზნე აშშ-ს ელჩი საქართველოში

საქართველოში ამერიკის ელჩის შესახებ წინასაარჩევნო პერიოდში ორი დეზინფორმაცია გავრცელდა: პირველი უშუალოდ საპარლამენტო არჩევნების დღის შეფასებას შეეხებოდა. ანტილიბერალურმა გვერდმა "კარდჰუ" ელჩ კელი დეგნანის ციტატა გააყალბა[93], რომელშიც ის არჩევნებს დემოკრატიულად აფასებდა და ყველა პარტიას მისი შედეგების მიღებისკენ მოუწოდებდა. მას შემდეგ, რაც "მითების დეტექტორმა" ფეისბუკზე პოსტი ყალბად მონიშნა, "კარდჰუმ" ის გვერდიდან წაშალა. აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ციტატა "კარდჰუმ" ადრეც გააყალბა[94], როდესაც ამერიკელი კონგრესმენის ადამ კინზინგერის შემდეგი სიტყვების ფაბრიკაცია მოახდინა: "ოქტომბრის არჩევნების შედეგები არავის არ მოგეწონებათ, მაგრამ ეგ იქნება დემოკრატია". მაშინ კიზინგერმა რეალურად თქვა: "არავინ იქნება ბოლომდე კმაყოფილი, თუმცა ასეთია დემოკრატია." მსგავსი გაყალბებული პოსტი კინზინგერზე კრემლისტურმა "პოლიტიკანომაც" გაავრცელა. ორივე გაყალბებული ციტატა

[92] https://www.facebook.com/journalismproject/programs/third-party-fact-checking

[93] http://mythdetector.ge/ka/myth/kardhu-amerikis-elchis-komentars-aqalbebs

[94] http://mythdetector.ge/ka/myth/rogor-gaaqalbes-kardhum-da-politikanom-kongresmen-kinzingeris-tsitata-ganakhlebuli-versia

თანხვედრაში იყო ნარატივთან, რომელიც წლებია ამკვიდრებს აზრს, რომ ამერიკა საარჩევნო პროცესში ერევა, დემოკრატია ფიქციაა, ხოლო არჩევნების შედეგი წინასწარ გადაყწვეტილია.



ელჩის შესახებ მეორე დეზინფორმაციის[95] წყარო ულტრანაციონალისტური "ქართული მარშის" ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი ერმილე ნემსაძე იყო, რომელიც ავრცელებდა ყალბ პოსტს, თითქოს კელი დეგნანი იმ 17 დიპლომატს შორისაა, ვინც აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის იმპიჩმენტი მოითხოვა და ქვეყნიდან მის გაწვევას ითხოვდა (იხ.IV ნაწილი). აღნიშნული დეზინფორმაციის მიზანი თანხვედრაშია იმ გზავნილთან, რომელიც ორი ამერიკის თეზას ავითარებს და ამკვიდრებს აზრს, რომ ამერიკის ინტერესებს საქართველოში პრეზიდენტ ტრამპის მოწინააღმდეგეები წარმოადგენენ. ბაიდენის ინტერესების კონტექსტში იყო წარმოჩენილი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებიც პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერის მხრიდან, რომელიც მათ მარცხს ბაიდენის ხაზს, ამერიკულ ძალოვან უწყებებს და ამერიკის ელჩის აქტოვობებს უკავშირდებდა:

> **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „აბსოლუტურად შეუძლებელია, რომ ჩვენი მასშტაბის პარტიას ჰქონდეს 3 პროცენტი... პირდაპირ ვამბობ, ამის თანამონაწილე იყო ამერიკელი ძალოვანი სტრუქტურები, რომლებიც, აი, ბაიდენის ხაზს წარმოადგენენ, იყვნენ ამის თანამონაწილეები და კიდევ ბევრი ხალხი, კაცო... ამერიკის ელჩი, ქალბატონი, რომელიც იმ დღეს რატომღაც 3 საათამდე ბრძანდებოდა ცესკოში. რა უნდა ამერიკის ელჩს იქ, ცესკოში? აი, რატომ არის? ევროკავშირის ელჩი იქ არ არის, ამერიკის ელჩი რატოა?[96]"

ამერიკის არჩევნებთან დაკავშირებით დეზინფორმაცია, თითქოს ჯო ბაიდენი არჩევნების გაყალბების ორგანიზაციაზე საუბრობდა, კონტექსტიდან ამოგლეჯილად ტრამპის მხარდაჭერმა ქართულმა ფიესბუკ გვერდმა "ჩვენ ვართ" გამოაქვეყნა, რომელიც სახელისუფლებო ექსპერტებს და ულტრანაციონალისტ აქტივისტებს აერთიანებს[97].

5.2. სამიზნე ოპოზიცია

ოპოზიციის წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაციიდან მონიტორინგის პერიოდში "მითების დეტექტორმა" 16 გადაამოწმა, საიდანაც 12 უშუალოდ ნაციონალურ მოძრაობას და მის საარჩევნო ბლოკში შემავალ სუბიექტს ეხებოდა, 2 - ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებულ სუბიექტებს, 1 - ლელოს და 1 ოპოზიციის აქციას.

[95] http://mythdetector.ge/ka/myth/kartuli-marshis-cevri-ashsh-elchze-dezinpormatsias-avrtselebs

[96] ობიექტივი, ღამის სტუდია-ყველას გასაგონად, 3 ნოემბერი. https://www.myvideo.ge/v/3983000

[97] http://mythdetector.ge/ka/myth/jo-baidenis-videos-chven-vart-manipulatsiurad-avrtselebs

გაყალბებული ციტატა -6	სამიზნე	გზავნილი/დარღვევის ტიპი	წყარო	შენიშვნა
ვიდეომანიპულაცია	მიხეილ სააკაშვილი, ენმ	ვიდეოს მონტაჟის შედეგად სააკაშვილის სიტყვების მნიშვნელობა შეცვლილია, რაც ქმნის აღქმას, რომ მან ქართველ ხალხს ,,არახალხი, არაქართველები და არაადამიანები" უწოდა	**FB გვერდი:** ,ვაი ბიძიკო, **FB ჯგუფები:** 1.000.000 ქართველი, პოზიტივი, საქართველო. პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, ბიძინა ივანიშვილის მეგობრები "ფეისბუქზე" ოცნების მხარდამჭერები.	fb-ზე ინფორმაციის ყალბად მონიშვნის შემდეგ პოსტი წაშლილია
ვიდეომანიპულაცია	ნიკა მელია, ენმ	ვიდეოს მანიპულაციური მონტაჟის შედეგად იქმნება აღქმა, თითქოს მელიამ თქვა, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან და იქ რუსეთის გავლენა უნდა გავრცელდეს	**FB გვერდი:** მოგიტყანთ ოპოზიცია	წაშლილია
ვიდეომანიპულაცია	გრიგოლ ვაშაძე, ენმ	მონტაჟის შედეგად გრიგოლ ვაშაძის სიტყვების მნიშვნელობა შეცვლილია, რაც ქმნის აღქმას, რომ მას ოპოზიციის, არასამთავრობოების და მოქალაქეების აზრი ფეხზე ჰკიდია	**FB გვერდი:** მოგიტყანთ ოპოზიცია; **FB ჯგუფები:** Live Show ·· და ,,სიმართლის გზა".	წაშლილია
ციტატა კონტექსტის შეცვლით	გუბაზ სანიკიძე, გაერთიანებული ოპოზიცია	ციტატა კონტექსტიდან ამოგლეჯილად არის მოყვანილი, რაც ქმნის აღქმას, თითქო გუბაზ სანიკიძემ ხალხს სახელმწიფო გადატრილებისკენ მოუწოდა	**ონლაინ გამოცემები:** alia.ge, resonancedaily.com, primetime.ge, Metronome.ge, progressnews.press. **FB გვერდი**: სირცხვილის კოროდიროი	
ციტატის ფაბრიკაცია	სალომე სამადაშვილი	ციტატა, თითქოს სამადაშვილმა პატრიარქს და ეკლესიას ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემა უწოდა, ფაბრიკაციაა	**FB ინდ. ანგარიში**: Tamar Ujmajuridze, **FB გვერდები**: Fაქტები, ტერენტი გლდანელი, დედაქალაქი.	
ციტატის ფაბრიკაცია	გრიგოლ გეგელია, ლელო	ციტატა, თითქოს გეგელია ქართველ ხალხს მოუწოდებს ერთსქესიანთა ქორწინებას შეეგუოს, ფაბრიკაციაა და ლელოს წევრს არ ეკუთვნის	**FB გევრდი**: მევახშეთა ლიგა, **FB ჯგუფები:** "პროტესტი! Protest! Протест!", ,,სიმართლის გზა", რუსთავი 21 ∆ RUSTAVI 21.	წაშლილია
ყალბი ინფორმაცია - 4	**სამიზნე**	**გზავნილი/დარღვევის ტიპი**	**წყარო**	**შენიშვნა**
	მიხეილ სააკაშვილი-ენმ, ჯო ბაიდენი, სოროსი	უკრაინაში მაიდნის მოვლენები დასავლეთის დავალებით სააკაშვილის და ქართველი სნაიპერების პროვოცირებულია	**FB გვერდები**: ტვ "ობიექტივი", Tinp.ge - დღეს პოლიტიკაში,, ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მაჟორიტარები"	Tinp.ge - დღეს პოლიტიკაში ფეისბუქმა წაშალა
	ნიკა მელია, ენმ	ნიკა მელიას საარჩევნო შტაბი კოვიდ-19-ის გამო დაკეტილია	**ონლაინ გამოცემები:** xnews.ge, geotimes.com.ge, **FB ინდ. ანგარიში**: ნინო ჯღარკავა	

	ნიკა მელია, ენმ	პროტესტის ნიშნად გადაგდებული ელსამაჯური ნიკა მელიამ აქციის შემდეგ ისევ გაიკეთა	**ონლაინ გამოცემები**: მარშალპრესი, exclusivenews.ge, reportiori.ge და კლიკბაიტ-გვერდი www.ge. **FB გვერდი**: სირცხვილის კორიდორი; **FB ჯგუფები**: პროტესტი! Protest! Протест!; მოქალაქე არასამთავრობო ორგანიზაცია; ქართველთა მსოფლიო ცენტრი Georgians World Center Всемирный центр грузин Gürc, დაარეკლამე რაც გინდა, Georgia • საქართველო ✓ , საქართველო და მსოფლიო, Tbilisi ◊ თბილისი; ჩემი მხარდაჭერა გახარიას“	ნაწილი წაშლილია
	ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების წარმომადგენლები	აგვისტოს ომის დროს იმდროინდელი ხელისუფლების 24-მა წარმომადგენელი ქვეყნიდან გაიქცა	**FB ინდ. ანგარიში**: თათა მურაჩაშვილი	წაშლილია
გაყალბებული ჩ პოსტი/ფოტო-ვიდეო მანიპულაცია -4	**სამიზნე**	**გზავნილი/დარღვევის ტიპი**	**წყარო**	**შენიშვნა**
გაყალბებული პოსტის სქრინი	ბუბა კიკაბიძე, ენმ	რუსეთის დუმის დეპუტატი სერგეი გავრილოვის პოსტი, თითქოს ის ბუბა კიკაბიძის რუსულ სიმღერას ფეისბუკზე პოზიტიურად გამოეხმაურ, ფაბრიკაციაა	**FB გვრდი:** აქ საქართველოა **FB ჯგუფები:** წინ საქარათველო უკეთესი მომავლისაკენ !!! პროტესტი! Protest! Протест!, კახა კალაძე თბილისის მერი	წაშლილია ჯგუფ "კახი კალაძე თბილისის მერის გარდა"
ფოტომანიპულაცია	გაერთიანებული ოპოზიცია, საპროტესტო აქცია	ფოტოზე წარწერით "გაერთიანებული ოპოზიციის ახალგაზრდულ ფრთა" ნიუ იორკში 2016 წელს გეიპრაიდში მონაწილე ქართული ლგბტ თემის წარმომადგენლები არიან ასახული და ისინი ოპოზიციის წევრები არ არიან. გავრცელებული პოსტი მანიპულაციურია და ის არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებული პროტესტის ლგბტ თემის საკითხთან დაკავშირებას ცდილობს.	**FB ინ. ანგარიში**: ილია კობაიძე, **FB გვერდი:** Faქტები	
ფოტოფაბრიკაცია	ენმ-თან დაკავშირებული ტვ "მთავარი არხი"	Travel Georgia-ს მიხედვით, “მთავარი არხი” კრიმინალის შესახებ მდგომარეობას აზვიადებს. კერძოდ, გურჯაანში კრიმინალის შესახებ რეპორტაჟში ამერიკის შტატ ოკლაჰომაში მომხდარი ძარცვის კადრებია გამოყენებული. გავრცელებული სქრინი ფოტოფაბრიკაციაა, რადგან მსგავსი კადრები "მთავარის" ეთერში არ გასულა, ხოლო დამუშავებულ სქრინზე არა გურჯაანი, არამედ დმანისი წერია.	**Fb გვერდები**: Travel Georgia, ტერენტი გლდანელი, მიხელ უკრაინოლოგი. **FB ჯგუფი:** “წინ საქართველოს უკეთესი მომავლისკენ!”	წაშლილია

ვიდეომანიპულაცია	მიხეილ სააკაშვილი, ნიკა მელია	ვიდეოები ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პოლიტიკოსები პირდაპირ ეთერში ერთვებიან მომხმარებლებს, რომლებიც მათ სიძულვილის ენისა და აგრესიული კომენტარების გამოყენებით მიმართავენ	**Fb გვერდები:** შუბლის ძარღვ გაწყვეტილები, ტერენტი გლდანელი	
ყალბი მხარდაჭერის გვერდები -2	**სამიზნე**	**გზავნილი/დარღვევის ტიპი**	**წყარო**	**შენიშვნა**
მიშა დაგვიბრუნდი	მიხეილ სააკაშვილი, ენმ	ნაციონალური მოძრაობის ყალბი მხარდაჭერის გვერდი "მიშა დაგვიბრუნდი" მომხრეებს პირად მსხვერპლშეწირვის გზით, ხელისუფლების რევოლუციურად შეცვლისკენ მოუწოდებდა	მიშა დაგვიბრუნდი	წაშლილია
რურუა გმირია	გიორგი რურუა, ენმ-ის მხარდამჭერი	გიორგი რურუას დისკრედიტაციის მიზნით შექმნილი ყალბი გვერდი "რურუა გმირია" ავრცელებს ყალბ პოსტს, სადაც რურუა თავის თავს ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას ადარებს და ამტკიცებს, რომ არჩევნების შემდეგ მას ციხიდან გაათავისუფლებენ	**FB გვერდები:** რურუა გმირია, სირცხვილის კორიდორი, შუბლის ძარღვ გაწყვეტილები, მამული, ენა, სარწმუნოება, სექტა; **FB ჯგუფები:** პროტესტი! Protest! Протест!, პოლიტიკა, გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა!, ქვეყნის მტრების წინააღმდეგ , კახი კალაძე ქალაქის მერი, ყველაფერი ქალებისთვის. **ონლაინ მედიები:** მარშალპრესი, Prime Time, ექსკლუზივნიუსი, პროგრესნიუსი, ალია	წაშლილია

კრემლისტურ პარტია პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებულმა ტვ "ობიექტივმა" და tinp.ge-დღეს პოლიტიკაში გაავრცელეს ფილმი, რომელიც უკრაინაში მაიდნის მოვლენებში ქართველი სნაიპერების მონაწილეობის შესახებ კრემლის ცნობილ კონსპირაციას[98] ავითარებს და ამ პროცესში დასავალეთთან ერთად საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს. აღნიშნული ფილმი პატრიოტთა ალიანსის პარტიულმა გვერდმაც გადააზიარა.

[98] https://euvsdisinfo.eu/disinformation-cases/?text=snipers&date=&per_page=

ოპოზიციის წინააღმდეგ გავრცელებული სხვა ყალბი ცნობები ძირითადად შიდაპოლიტიკური ხასიათის იყო, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში კრემლის პროპაგანდის მსგავსად რელიგიური და სექსუალური იდენტობის დაკარგვის საფრთხეებით მანიპულირება ხდებოდა. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობის წევრის სალომე სამადაშვილის წინააღმდეგ სახელისუფლები ტელეარხ "იმედზე" სამადაშვილის ფარული ჩანაწერი გავრცელდა[99], ფეისბუკში მისი გაყალბებული ციტატაც გამოქვეყნდა, სადაც ის ქვეყნის ყველაზე დიდ პრობლემად პატრიარქს და ეკლესიას ასახელებდა, რაც მიზნად ოპოზიციური პარტიის ეკლესიასთან მებრძოლად წარმოჩენას ისახავდა. მეორე შემთხვევაში კი ფოტომანიპულაციის შედეგად ლგბტ თემის გაერთიანებული ოპოზიციის ახალგაზრდულ ფრთასთან დაკავშირება ხდებოდა, რაც მიზნად აოპოზიციის საპროტესტო აქციიდან აქცენტის ლგბტ თემზე გადატანას ისახავდა[100].





2 შემთხვევაში ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ყალბი მხარდაჭერის გვერდები ("მიშა დაგვიბრუნდი[101]" - მიხეილ სააკაშვილი და "რურუა გმირია[102]" - გიორგი რურუა) და პოსტები ნეგატიური რეაქციების გამოწვევის მიზნით შეიქმნა. ერთ შემთხვაში "მიშა დაგვიბრუნდის" სახელით სააკაშვილი მომხრეებს ხელისუფლების რევოლუციური გზით, პირადი მსხვერპლშეწირვის ხარჯზე შეცვლისკენ მოუწოდებდა, ხოლო მეორე შემთხვევაში პატიმრობაში მყოფი გიორგი რურუა თავს ეროვნულ გმირ მერაბ კოსტავას ადარებდა და არჩევნების შემდეგ ციხიდან გათავისუფლებაზე საუბრობდა. ფეისბუკზე მონიშვნის შემდეგ ორივე ანგარიში წაშლილია.

[99] https://netgazeti.ge/news/496198/

[100] http://www.mythdetector.ge/ka/myth/8-noembris-opozitsiis-aktsiaze-faktebi-manipulatsiur-posts-akveqnebs

[101] http://www.mythdetector.ge/ka/myth/ra-miznit-sheikmna-qalbi-mkhardacheris-gverdi-misha-dagvibrundi

[102] http://www.mythdetector.ge/ka/myth/ruruas-sakhelit-shekmnil-qalb-gverds-sakhelisuplebo-gverdebi-organizebulad-avrtseleben





1 შემთხვევაში რუსი დეპუტატის სერგეი გავრილოვის გაყალბებული პოსტი[103] შეიქმნა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომრის ბუბა კიკაბიძის მიერ წინასაარჩევნო შეხვედრაზე რუსულ ენაზე შესრულებულ სიმღერას პოზიტიურად აფასებდა. ამ გაყალბებული პოსტის გამზიარებელთა შორის კი სახელისუფლებო ტროლი იყო, რომელიც 2019 წელს გამოვლენილი ტროლის პროფილის სურათს იყენებდა[104]. თავის მხრივ, ორივე ტროლი ასტრახანში მცხოვრები სვეტლანას ფოტოს იპარავდა.



103 http://www.mythdetector.ge/ka/myth/gamoekhmaura-tu-ara-gavrilovi-buba-kikabidzis-rusul-simgheras-peisbukze

104 http://www.mythdetector.ge/ka/myth/irma-mariami-tu-svetlana-astrakhanidan-trolis-anatomia

5.3. სამიზნე ქართული ოცნება

მითების დეტექტორმა “ქართული ოცნების” წინააღმდეგ გავრცელებული 8 დეზინფორმაცია გადაამოწმა, საიდანაც 1 კრემლთან დაკაშირებული გამოცემა News Front Georgia-ს პუბლიკაციას[105] უკავშირდება, რომელიც დეპორტირებული მესხების რეპატრიაციის შესახებ დეზინოფორმაციას კრემლთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფეისბუკ გვერდებისა და ჯგუფების მეშვეობით ავრცელებდა. სხვა 7 შემთხვევაში გაყალბებულ შინაარსს ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული გვერდები ავრცელებდნენ.

გაყალბებული ციტატა -3	სამიზნე	გზავნილი/დარღვევის ტიპი	წყარო	შენიშვნა
შეცვლილი ციტატა	სალომე ზურაბიშვილი, პრეზიდენტი	სალომე ზურაბიშვილმა ივანიშვილის მიმართ მადლობის გადახდისას, საშვილიშვილოს მაგივრად სიტყვა "საშვილოსნო" თქვა, რაც მანიპულაციაა	**FB გვერდები:** ყოველდღიური მოვლენები, “ქვეყნის არაფორმალური მმართველი”, Annual events ყოველწლიური მოვლენები, ლურჯი ვირი, What the fuck is that, თავისუფალი აზრი.	წაშლილია
ციტატის ფაბრიკაცია	სალომე ზურაბიშვილი, პრეზიდენტი	ციტატა, თითქოს სალომე ზურაბიშვილს ღარიბი ქართველები ეზიზღება, ფაბრიკაციაა	**FB ინდივიდუალური ანგარიშები**: Sofo Kemularia, ტროლი Alli Babaa, **FB ჯგუფები:** Live Georgia, ხატია დეკანოიძე-ისნის მაჟორიტარად, Danmark-Georgien დანია-საქართველო Denmark-Georgia Данія-Грузія, მიხეილ სააკაშვილის შტაბი, Сухуми и сухумцы! ВСЕ КТО СЕБЯ СЧИТАЕТ ТАКОВЫМИ…, თეთრი და შავი.	წაშლილია 2 ჯგუფში: მიხეილ სააკაშვილის შტაბი, Сухуми и сухумцы! ВСЕ КТО СЕБЯ СЧИТАЕТ ТАКОВЫМИ…
ვიდეოფაბრიკაცია	ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება	გამოქვეყნებული პოსტი წარმოადგენს ვიდეო მონტაჟს. რეალურად ბიძინა ივანიშვილმა სიტყვა “გამოთაყვანებული” არა აჭარლების, არამედ სერიალების მიმართ გამოიყენა.	**FB გვერდები:** ქოცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო, სვავი, საქართველოსთვის, ,News Blog	წაშლილია ქოცების დასაცინ ოფიციალურ სააგენტოზე
გაყალბებული დოკუმენტი/ ფოტომანიპულაცია -3	**სამიზნე**	**გზავნილი/დარღვევის ტიპი**	**წყარო**	**შენიშვნა**
დოკუმენტის ფაბრიკაცია	ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება	დოკუმენტი, ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ფალსიფიკაციაა, რადგან მასში მითითებული ქვეყნის სტატუსი და გერბი 1991 წელს არ გამოიყენებოდა, ხოლო თავად ტექსტი გრამატიკულ შეცდომებს შეიცავს.	**FB გვერდები:** ექვთიმე ბიძინაშვილი, ლურჯი ვირი; **FB ინდ. ანგარიში:** Avto Ivanidze; **FB ჯგუფები:** ერთად სახლში, მიშას ფანები, ლიდერები მიხეილ სააკაშვილთან ალიანსში / Leaders with Mikheil Saakashvili in, მიშა პრემიერად.	წაშლილია
ფოტომანიპულაცია	ქართული ოცნება	ფოტო 2019 წელს, თბილისში საპროტესტო აქციაზე ქართული ოცნების დროშების დაწვას ასახავს და არა ჭიათურას, სადაც 2020 წელს, არჩევნების წინ მმართველი პარტიის დროშებს წვავენ	**FB გვერდები**: ყოველდღიური მოვლენები, დუშეთი.ძალა ერთობაშია, **FB ჯგუფი:** ერთიანი ნაციონალური მოძრაობის - მხარდამჭერთა ჯგუფი	წაშლილია

[105] http://www.mythdetector.ge/ka/myth/shetankhmdnen-tu-ara-erdoghani-da-gakharia-100-000-deportirebuli-meskhis-chamoqvanaze

ფოტომანიპულაცია	ქართული ოცნება	გავრცელებული 10 ფოტოდან, რომელიც "ქართული ოცნების" მიერ უხარისხო მშენებლობების დაფინანსების საილუსტრაციოდ არის მოყვანილი, მხოლოდ 3 ასახავს საქართველოს ვითარებას	**FB გვერდი**: stop ოლიგარქია	არარელევანტური ფოტოები წაშლილია
ყალბი ინფორმაცია -2	**სამიზნე**	**გზავნილი/დარღვევის ტიპი**	**წყარო**	**შენიშვნა**
დეზინფორმაცია მანიპულაციური ფოტოს თანხლებით	გიორგი გახარია, საქ. მთავრობა	თურქეთის მოთხოვნით საქართველოში 100 ათასი დეპორტირებული მესხის რეპატრიაცია იგეგმება	**ონლაინ მედია:** News Front Georgia, tvalsazrisi.ge, **FB გვერდი:** "სტალინი", **FB ჯგუფები:** "საქართველო და რუსეთი/Грузия и Россия", ჯგუფები "ევრაზია - საინფორმაციო სააგენტო / Eurasia - Information Agency", კოტე ჩიკვილაძის და გულბაათ რცხილაძის თანამოაზრეების ჯგუფი: Россия и Грузия	წაშლილია
	ქართული ოცნება	გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ავღანეთში გახსნილ საარჩევნო უბნებზე ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვა, სიმართლეს არ შეესაბამება.	**FB ინდივიდუალური ანგარიში:** ფარნაოზ ქკადუა; **FB გვერდი:** გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოს გადასარჩენად", **FB ჯგუფები:** მიხეილ სააკაშვილთან ერთად, მთავარი არხის მხარდამჭერი ჯგუფი, ხატია დეკანოიძე-ისნის მაჟორიტარად, საქართველოში უნდა გათენდეს.	

საქართველოს პრეზიდენტთან დაკავშირებული 2 შემთხვევა მისი დისკრედიტაციის მიზნით ციტატის გაყალბებას უკავშირდება. ერთ შემთხვევაში პოსტს ნაციომნალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ტროლი Alli Babaa აზიარებდა[106], რომელსაც საცხოვრებელ ადგილად ნიგერია ჰქონდა მითითებული.



106 http://www.mythdetector.ge/ka/myth/alli-babaa-nigeriidan-da-skhvebi-salome-zurabishvilis-gaqalbebul-tsitatas-avrtseleben

ქართული ოცნების დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში ციტატის გაყალბება ვიდეოფაბრიკაციის გზით მოხდა, რის შედეგადაც იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ივანიშვილმა აჭარლებს გამოთაყვანებულები უწოდა[107]. მეორე შემთხვევაში ივანიშვილის ჯანმრთელობის ცნობის ფაბრიკაცია მოხდა[108].

ფოტომანიპულაციის სხვა 2 შემთხვევა ქართული ოცნების წინააღმდეგ იყო მიმართული, ერთ შემთხვევაში 2019 წლის საპროტესტო აქციის ფოტო, რომელიც მმართველი პარტიის დროშების დაწვას ასახავდა, ჭიათურაში მიმდინარე წინასაარჩევნო პროტესტად იყო წარმოჩენილი[109]. მეორე შემთხვევაში კი ქართული ოცნების უუნარობის საილუსტრაციოდ სხვადასხვა ქვეყნების უჩვეულო სამშენებლო კონსტრუქციები იყო გამოყენებული[110].

107 http://www.mythdetector.ge/ka/myth/vis-mimart-gamoigena-ivanishvilma-sitqva-gamotaqvanebulebi

108 http://www.mythdetector.ge/ka/myth/vin-gaavrtsela-ivanishvilze-gaqalbebuli-dokumenti

109 http://www.mythdetector.ge/ka/myth/rodis-dacves-kartuli-otsnebis-droshebi-saarchevnod-tu-gavrilovis-ghamis-shemdeg

110 http://www.mythdetector.ge/ka/myth/romeli-kveqnebis-ukhariskho-msheneblobebs-asakhavs-stop-oligarkiis-potoebi

5.4. ქართული ოცნების მხარდასაჭერი

მონიტორინგის პერიოდში ქართული ოცნების მხარდასაჭერი ოთხი მანიპულაციური მასალა გამოვლინდა: 1 ყალბი ფოტო და 3 ქლიქბაით საიტის შეცდომაში შემყვანი სათაური.

1. **გაყალბებული ფოტო**: ფეისბუკ მომხმარებელმა Tea Pirtskhalava პირად გვერდზე აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელზეც მას "ქართული ოცნების" ნომრიანი (41) მაისური აცვია, წარწერით "It's My Team. Georgian Dream". ავთენტურ ფოტოზე რაისის მაისურზე 16 ნომერია გამოსახული კლივლენდის საფეხბურთო გუნდის მხარდასაჭერად[111].



2. **ქლიქბაიტ საიტების ცრუ დაპირებები.** clickbait საიტებმა 24news.com.ge და www.ge ძველი ინფორმაცია მმართველი პარტიის მიერ ვალების გასტუმრების შესახებ ახალი თარიღით და შეცდომაში შემყვანი სათაურებით წინასაარჩევნოთ გამოაქვეყნეს[112], რაც წინასაარჩევნოდ ცრუ დაპირებებს ქმნიდა. იდენტური შეცდომაში შემყვანი სათაურით მასალა არჩევნების შემდეგ კიდევ ერთმა ქლიქბაიტ საიტმა - კლონირებულმა abcnews.com.ge-მ გამოაქვეყნა, რომელიც ქართული ოცნების დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის მიერ ჯანდაცვის სექტორისთვის მილიარდების გამოყოფაზე ძველ შეცდომაში შემყვან ინფორმაციას იმეორებდა[113].

[111] http://mythdetector.ge/ka/myth/16-tu-41-romel-gundze-otsnebobs-kondoliza-raisi

[112] http://mythdetector.ge/ka/myth/cinasaarchevno-clickbait-ebi-dzvel-inpormatsias-akhal-dapirebebad-aktseven

[113] https://www.mythdetector.ge/ka/myth/klonirebuli-abcnews-i-ivanishvilis-sakhelit-khalkhs-miliardebs-hpirdeba